

ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში

მთავარი მკვლევარი:

თამარ დეკანოსიძე

მკვლევარები:

ნინო ჩიხლაძე

გვანცა ხარატიშვილი

კვლევის მეთოდოლოგიის

ავტორები:

თამარ დეკანოსიძე

ლორი მანი

დეკემბერი 2020

ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ამ დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციასა ან თარგმანთან დაკავშირებით მიმართეთ კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

დოკუმენტთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა კორექსონდენცია უნდა გაიგზავნოს დემოკრატიის გენერალური დირექტორატის გენდერული თანასწორობის განყოფილებაში.

დიზაინი: გიორგი ქინქლაძე

© ევროპის საბჭო, ნოემბერი, 2020 წელი

სარჩევი

| | |
|---|----|
| აბრევიატურები..... | 4 |
| შესავალი | 5 |
| მეთოდოლოგია | 6 |
| ძირითადი მიგნებები..... | 8 |
| 1. სექსუალური ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი ადამიანის უფლებათა სტანდარტების ქრილში..... | 10 |
| 1.1. დადებითი ტენდენციები | 10 |
| 1.2. სექსუალური ძალადობის დანაშაულების შეზღუდული დეფინიციები მატერიალურ კანონმდებლობაში | 11 |
| 1.2.1 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი..... | 11 |
| 1.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 14 |
| 2. სექსუალური ძალადობის გენდერული ასპექტი | 17 |
| 2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი | 17 |
| 2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 20 |
| 3. პროაქტიურ და ex officio მიდგომებთან დაკავშირებული პრობლემები | 23 |
| 3.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი | 23 |
| 3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 23 |
| 4. შეუსაბამოდ მკაცრი მოთხოვნები სექსუალური ძალადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან მიმართებით | 28 |
| 4.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი | 28 |
| 4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 29 |
| 5. გენდერული სტერეოტიპები და მეორეული ვიქტიმიზაციისგან მსხვერპლის დაცვის პრობლემები | 30 |
| 5.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი | 30 |
| 5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 34 |
| 6. არასათანადო სასჯელები და დამამძიმებელი/შემამსუბუქებელი გარემო- ებები | 39 |
| 6.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი | 39 |
| 6.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა | 40 |
| 7. დამატებითი დაბრკოლებები მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის | 44 |
| რეკომენდაციები..... | 45 |
| დანართი N1: სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაცია | 50 |
| დანართი N2: საქართველოს კანონმდებლობა | 56 |

აბრევიატურები

CEDAW – გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია

სსკ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ECTHR – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ICC – საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო

სტამბოლის კონვენცია – ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

ღებტი+ - ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი, ასევე, სხვა სექსუალური ორიენტაციები, სქესი და გენდერული მრავალფეროვნება

UN - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

შესავალი

სექსუალური ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დაფარული ფორმაა. ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, უმთავრესი ძირეული მიზეზი სტრუქტურული და სისტემური უთანასწორობა, გენდერული დისკრიმინაცია და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებაა ქალებსა და კაცებს შორის. სექსუალური ძალადობა, გენდერული ძალადობის სხვა ფორმების მსგავსად, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სოციალურ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც ქალები იმყოფებიან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში კაცებთან მიმართებით.¹

ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, სექსუალური ძალადობა უფრო მეტად უკავშირდება ტაბუს. მასზე მსხვერპლები საჯაროდ იშვიათად საუბრობენ ან დამიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო დამნაშავეები, არაეფექტიანი მართლმსაჯულების სისტემის გამო, უკიდურესად მცირე შემთხვევაში ისჯებიან.² სექსუალური ძალადობის აღმოფხვრის ქმედითი მექანიზმების შემუშავება ძირეული ნაბიჯია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული არსებითი³ და ტრანსფორმაციული თანასწორობის მისაღწევად.

ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მიმართულებით, განსაკუთრებით, ამგვარ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, მსხვერპლის დაცვისა და დახმარების მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით. 2017 წელს საქართველომ განახორციელა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და მიიღო ზომები საქართველოს კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამჟამად კანონმდებლობა განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას და ითვალისწინებს ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმებს.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, არსებითი გამოწვევები რჩება სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით. საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიციასთან მიმართებით. ამგვარ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება, ხშირ შემთხვევაში, მოძველებული, დისკრიმინაციული მიდგომებით და გენდერული დანაშაულებისთვის შეუსაბამო მეთოდოლოგიით ხდება, რაც სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთ უმთავრეს ბარიერს წარმოადგენს.⁴

მიუხედავად სექსუალური ძალადობის გავრცელებისა, კვლავ დაბალია მასზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინებისა და ამ შემთხვევებზე მართლმსაჯულების განხორციელების მაჩვენებელი, რასაც აღნიშნული კვლევის

1 იხ. ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), 2011, პრეამბულა, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>.

2 იხ. Roadblocks to Justice, How the Law is Failing Survivors of Sexual Violence in Eurasia, 2019, Equality Now, გვ. 8, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.equalitynow.org/roadblocks_to_justice.

3 იხ. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11.3.

4 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნული კვლევის თანახმად (2017, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ევროკავშირი), 15-64 წლის ქალების რიცხვი, რომლებსაც ოდესმე ჰყოლიათ პარტნიორი და განაცხადეს, რომ ბოლო 12 თვის მანძილზე განუცდიათ ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობა, არის დაახლოებით 4,000 (0,4%); ცხოვრების მანძილზე სექსუალური პარტნიორისგან ძალადობა განუცდია დაახლოებით 24,450 ქალს (2,3 %). ჯამში ქალების 26%-მა (346,510 ქალი) განაცხადა, რომ ცხოვრების მანძილზე განუცდია სექსუალური ძალადობა ან/და სექსუალური შევიწროება არაპარტნიორისგან, ასევე სექსუალური ძალადობა ბავშვობის ასაკში. იმ ქალებიდან, რომელთაც აღნიშნეს, რომ განუცდიათ ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობა ან პარტნიორის მხრიდან სექსუალური ძალადობა, მხოლოდ 26%-მა განაცხადა, რომ მიმართა რომელიმე ორგანოს ან მხარდაჭერის სერვისს დახმარებისთვის, საიდანაც მხოლოდ 18%-ს მიუმართავს პოლიციისთვის, გვ. 41; 49; 55 და 85. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/media/26061/National-VAW-Study-Report-ENG.pdf>

შედეგებიც ცხადყოფს.⁵ კვლევის პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ცხელ ხაზზე „112“ 316 შეტყობინება დაფიქსირდა სრულწლოვანი ქალის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ. იმავე პერიოდში პირს გამამტყუნებელი განაჩენი სექსუალური ძალადობისთვის მხოლოდ 20 შემთხვევაში შეეფარდა.⁶

კვლევა განხორციელდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის“ ფარგლებში. ეს არის საქართველოში პირველი ანგარიში, რომელიც სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ პროცედურებს სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების ქრილში აფასებს.

ეს კვლევა, მისი დასკვნები და რეკომენდაციები არ გამოქვეყნებულა, არ უკავშირდება და არ არის დამტკიცებული ევროპის საბჭოს ოფიციალური მონიტორინგის ორგანოების მიერ, როგორცაა ექსპერტთა ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ (GREVIO) და მხარეთა კომიტეტი. კვლევა ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ნაწილია, რომელიც დახმარებას უწევს საქართველოს ხელისუფლებას სტამბოლის კონვენციის სტანდარტების განხორციელებაში და, მისი, როგორც ასეთის, გამოყენება შეიძლება ინფორმაციის წყაროდ მონიტორინგის პროცესში.

მეთოდოლოგია

კვლევაში შეფასებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციების შესაბამისობა სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, ასევე, ამ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტიანობა და ბარიერები აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებით.

კვლევის მიზანია, გააანალიზოს საქართველოში, 2017 წელს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდგომ, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე საკანონმდებლო და მართლმსაჯულების განხორციელების ბარიერები და შეიმუშაოს რეკომენდაციები ამგვარ დანაშაულებზე კანონმდებლობის, პრაქტიკისა და პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.

კვლევის მიზნებისთვის, **სექსუალური ძალადობის დანაშაულებში** იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე (გაუპატიურება), 138-ე (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება) და 139-ე (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) მუხლებით⁷ გათვალისწინებული დანაშაულები, რომელთა, *ხოგოჩი ჩაღენა, ისე მათზე მახიდმსაჯულების განხორციელება მოხდა 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ელ მაისამდე პეჩიოდში*. კვლევაში შესულია ისეთი საქმეები, სადაც სამართალწარმოება დასრულებულია *პიჩვედი ინსტანციის სასამართლოში*. კვლევა *ახ მოიცავს* დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილი იყო ზემოაღნიშნულ პერიოდში, მაგრამ ისინი კვლავ გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზეა. კვლევა, ასევე, არ აფასებს მართლმსაჯულების განხორციელებას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, ვინაიდან, ამ პერიოდში, კვლევის ფარგლებში განხილულ ყველა საქმეს მეორე და მესამე ინსტანციებამდე არ მიუღწევია.

5 2017-2018 წლებში სრულწლოვანი ქალების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის და ძალადობის მცდელობის დანაშაულებზე გამოძიება 251 საქმეზე დაიწყო. ამავე პერიოდში 20 პირის მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი, 17 საქმეზე გამოძიება შეწყდა, ხოლო დანარჩენზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობს. სექსუალური ძალადობის საქმეების უდიდესი ნაწილი სასამართლო ეტაპამდე საერთოდ ვერ აღწევს (იხ. დანართი N1).

6 იხ. დანართი N1.

7 შენიშვნა: აღნიშნული არ გამოირიცხავს სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების არსებობას, რომელთაც კვლევა არ მოიცავს, მაგრამ გათვალისწინებულია სსკ-ის 140-ე და 141-ე მუხლებით.

ამასთანავე, კვლევა მოიცავს მხოლოდ იმ **დანაშაულებს, სადაც დაზარალებული არის 18 წელს მიღწეული მდებარეობითი სქესის პირი**, ვინაიდან, არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების კვლევა განსხვავებული სამართლებრივი და ადამიანის უფლებათა ბაზისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას საჭიროებს, რაც აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებს სცდება.

კვლევის **პირველ ეტაპზე** შემუშავდა მეთოდოლოგია სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების საფუძველზე (ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით), მოხდა მისი განხილვა უწყებებთან, რომელთა უშუალო მოვალეობაა სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება და ამ პროცესების ზედამხედველობა; შემუშავდა სექსუალურ ძალადობაზე სტამბოლის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებით გათვალისწინებული სტანდარტების სამაგიდო კვლევა, ასევე, მოხდა სექსუალური ძალადობის შესახებ საქართველოს მატერიალური და მასთან დაკავშირებული პროცესუალური კანონმდებლობის კვლევა და ანალიზი სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.

კვლევის **მეორე ეტაპზე** განხორციელდა სექსუალური ძალადობის შესახებ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, განაჩენი), კერძოდ, შსს-დან, გენერალური პროკურატურიდან და სასამართლოდან გამოთხოვნილი ინფორმაციის შესწავლა. გაანალიზებული დოკუმენტები მოიცავდა სისხლის სამართლის საქმეების სრულ მასალებს სასამართლო განაჩენის ჩათვლით, გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებებსა და სტატისტიკურ ინფორმაციას გამოძიების დაწყებისა და შეწყვეტის მაჩვენებლის შესახებ.

ამ უწყებებიდან, დამატებით, მოხდა შემდეგი სახის სეგრეგირებული ინფორმაციის გამოთხოვნა:

- ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ (მითითება სსკ 11¹ და სსკ 53^{1.2} მუხლებზე);
- სქესის ან სხვა ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ (მითითება სსკ 53^{1.1} მუხლზე);
- იყო თუ არა დაზარალებული მოწყვლადი რასის, კანის ფერის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, იძულებითი გადაადგილების, მიგრანტობის, პროსტიტუციაში ჩართულობის, ნარკოტიკების მოხმარების, ალკოჰოლის მოხმარების ან სხვა საფუძველზე.

იმავდროულად, ჩატარდა ფოკუსგუფის შეხვედრა სპეციალისტებთან, რომლებიც მუშაობენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან (როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მინოდებული სერვისები). თავდაპირველად გათვალისწინებული იყო ინფორმაციის მოპოვება უშუალოდ მსხვერპლებთან ინტერვიუების გზით, რაც ვერ მოხერხდა დაზარალებულებთან კონტაქტზე გავლის სირთულეებისა და სხვა ობიექტური და ეთიკური გარემოებების გათვალისწინებით.

მესამე ეტაპზე გაანალიზდა მეთოდოლოგიის მიხედვით შერჩეული სისხლის სამართლის **24 საქმე**, გამოძიების შეწყვეტის შესახებ **17 დადგენილება** და **ფოკუსგუფიდან მოპოვებული ინფორმაცია** სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტებზე დაყრდნობით, ასევე, შემუშავდა ანგარიში და თანამდევნი რეკომენდაციები.

ამავე ეტაპზე მოხდა კვლევის ძირითადი მიგნებების წერილობითი გაზიარება და

მოეწყო დისკუსია ძირითად საკითხებზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებთან. შედეგად, უწყებების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და შენიშვნების ნაწილი კვლევაში აისახა.

ძირითადი მიგნებები

საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა გაუპატიურებასა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულებთან მიმართებით აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებით გათვალისწინებულ ცალკეულ ძირეულ მოთხოვნებს, როგორცაა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე ex officio დევნის ვალდებულების არსებობა და სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების უმეტესობის (როგორც არის დანაშაულის ჩადენა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მიმართ, ბავშვის თანდასწრებით, ორი ან მეტი პირის მიერ, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით, როდესაც დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ზიანი მიაყენა მსხვერპლს, როდესაც დანაშაული ჩაიდინა მსგავსი სახის დანაშაულისთვის ნასამართლობის მქონე პირმა⁸) ასახვა კანონმდებლობაში. ამასთან, გარკვეული დადებითი ტენდენციები გამოიკვეთა პრაქტიკის - კერძოდ, დაზარალებულის სტატუსის⁹ მინიჭების და საგამოძიებო მოქმედებების დაყოვნების გარეშე ჩატარების მიმართულებით (თუმცა, ეს მხოლოდ იმ საქმეებს ეხება, რომლებმაც სასამართლო სტადიას მიაღწიეს). დადებითად უნდა შეფასდეს ასევე ის, რომ განსხვავებით უკიდურესად დამაზიანებელი პრაქტიკისგან ბევრ ქვეყანაში, ცრუ დასმენის მუხლით გამოძიება არ იწყება იმ საქმეებზე, სადაც სექსუალური ძალადობა ვერ დადასტურდა და საქმე დაიხურა.

მიუხედავად ამისა, კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი პრობლემები სექსუალური ძალადობის დანაშაულების საკანონმდებლო დეფინიციის, ამგვარი დანაშაულების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო განხილვის ეტაპებზე, რაც არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ:

- საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულები არ ითვალისწინებს **მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას**, როგორც დანაშაულების დეფინიციის შემადგენელ ნაწილს, რაც უნდა შეფასდეს კონტექსტის მხედველობაში მიღებით, მათ შორის იმის საფუძველზე, არსებობდა თუ არა ნების დამთრგუნველი გარემოებები.¹⁰ ამასთან, რიგი დანაშაულები, რომლებიც თავისი ბუნებით გაუპატიურებას წარმოადგენს, მოცულია 139-ე მუხლით (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება), რომელიც არ წამოადგენს მძიმე დანაშაულს, ითვალისწინებს არაპროპორციულად მსუბუქ სანქციებს და კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, ამ მუხლით გათვალისწინებული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად.
- მიუხედავად სექსუალური ძალადობის დანაშაულების გენდერული ბუნებისა, მართლმსაჯულების განხორციელება არ ხდება **გენდერული ხედვითა** და ქალთა მიმართ ძალადობის სისტემური და სტრუქტურული ბუნების გათვალისწინებით. ამასთან, კვლევის ფარგლებში შესწავლილ არცერთ საქმეში, სადაც სექსუალური ძალადობაზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, არ მომხდარა დამნაშავის

8 იხ. მუხლი 46, სტამბოლის კონვენცია.

9 დაზარალებულის სტატუსი ანიჭებს მსხვერპლს გარკვეულ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ასეთია - ინფორმაციის მიღება სისხლის სამართლის გამოძიების შესახებ, მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების გამოყენება, ჩვენების მიცემა განცდილი ზიანის შესახებ (მუხლი 57).

10 იხ. აღნიშნული კვლევის 1.1. თავი.

ქმედებაში გენდერული ან სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვლევა ან ქალთა მიმართ ძალადობის სტრუქტურული ბუნების განხილვა და მოსამართლის ან პროკურორის მხრიდან მასზე მითითება.

- მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე კანონმდებლობა ex officio რეაგირების ვალდებულებას და სახელმწიფოს პროაქტიურ როლს ითვალისწინებს, კვლევამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში **დამნაშავის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებული ტვირთი თვით ძალადობის მსხვერპლებს ეკისრებათ**. როდესაც გამოძიების მიერ საქმეში გაუპატიურების შემადგენლობა არ იკვეთება, რიგ შემთხვევებში პრობლემაა სხვა მუხლის ფარგლებში დანაშაულის გამოძიების გაგრძელება და მსხვერპლის ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის არასისხლისსამართლებივ მექანიზმებზე გადამისამართება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ იმის სრული შეფასება, თუ რამდენად ეკისრება მსხვერპლს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტვირთი, შესაძლოა მხოლოდ ისეთი საქმეების შესწავლით, რომლებიც გამოძიების პროცესშია და შედეგი არ დამდგარა - რისი შეფასებაც აღნიშნული კვლევის ფარგლებს გარეთ არის.
- სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების ორგანოებს სექსუალური ძალადობის დამადასტურებელ **მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს** იყენებენ. ასეთი მიდგომა ხშირად სექსუალური ძალადობის მხოლოდ უკიდურესი ფორმების დროს და გამონაკლის შემთხვევებში იწვევს მოძალადის დასჯას. ძალადობის სხვადასხვა სერიოზული ფორმა, მტკიცებულებათა შეუსაბამო სტანდარტის გამო, **დაუსჯელი რჩება**.
- სექსუალური ძალადობის საქმეების **უმეტესობაში ამგვარი დანაშაულების მიმართ გამოიყენება სხვადასხვა სტერეოტიპული მიდგომა ან მსხვერპლისთვის დამაზიანებელი გენდერული ცრურწმენები**, როგორც გამოძიების, ისე სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო განხილვის დროს. არ ხდება შესაბამისი ზომების მიღება მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის კუთხით. ტარდება **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა** მსხვერპლის სხეულზე, სექსუალური ძალადობის გამოძიების „სავალდებულო“ ნაბიჯად აღიქმება და მსხვერპლისთვის ხშირად უკიდურესად **ტრავმული პროცედურაა**.
- ხშირად **სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ექსპერტიზაზე უარს ამბობენ ექსპერტთა სქესის გამო**. დაზარალებულებს არ აქვთ შესაძლებლობა, თავად აირჩიონ ექსპერტის სქესი და, მათი თქმით, რიგ შემთხვევაში საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მხრიდან ექსპერტიზის ჩატარება დამატებითი სტრესის მომტანია.
- სასამართლო პროცესებზე მსხვერპლები ბრალდებულებს, ყველა შემთხვევაში, **პირისპირ ხვდებოდნენ და კითხვებს მათ ხშირად თავად ბრალდებულებიც უსვამდნენ. ეს კი დაზარალებულთა დაბნეულობას, გაღიზიანებასა და დისკომფორტს იწვევდა**.
- შესწავლილ საქმეებში სტამბოლის კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებზე (მათ შორის, სსკ-ის 53¹-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებებზე) **მითითება არასოდეს მომხდარა, მათ შორის**, მაშინაც, როცა საქმის მასალები ასეთი გარემოებების გამოვლენის შესაძლებლობას იძლეოდა. როდესაც დამამძიმებელ გარემოებებზე მითითება არ ხდება, შეფარდებული სასჯელი შესაძლოა არ იყოს დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი.¹¹
- ზოგიერთ საქმეში, პრობლემად გამოიკვეთა ასევე სასამართლოს მიერ სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებაზე მითითება, რაც სექსუალური ძალადობისა და გენდერული სახის დანაშაულებთან დაკავშირებით დისკრიმინაციულ მიდგომებზე

11 იხ. აღნიშნული კვლევის მე-6 თავი.

მიანიშნებს.¹²

- **მონყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალები** განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. ბარიერებს, ხშირ შემთხვევაში, იწვევს არასათანადო ან დისკრიმინაციული საკანონმდებლო რეგულირება, მონყვლადი ქალების მიმართ სტიგმა, მიგრაციის სტატუსი, გონივრული მისადაგების არარსებობა, ენობრივი ბარიერები და შესაბამისი ორგანოების არასათანადო მომზადება მონყვლადი ქალების მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობაზე რეაგირების თვალსაზრისით. საკითხი დამატებით, სიღრმისეულ გამოკვლევას საჭიროებს.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის არსებული მიდგომები მნიშვნელოვან გადახედვას საჭიროებს სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისობის, ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით, ქალებისთვის არსებითი და ტრანსფორმაციული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

1. სექსუალური ძალადობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის და პრაქტიკის ანალიზი ადამიანის უფლებათა სტანდარტების ქრილში

1.1. დადებითი ტენდენციები

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა რიგი დადებითი ტენდენციები. კერძოდ, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე **კანონმდებლობა** ითვალისწინებს საჯარო, ex officio, დევნის ვალდებულებას, კერძო ან კერძო-საჯარო დევნის ნაცვლად. ამასთან, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე გამოძიების/დევნის შეწყვეტის საფუძველებს შორის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაზარალებულის და დამნაშავის „შერიგების“, დამნაშავის „საზოგადოებრივი საშიშროების“ დაკარგვის ან დამნაშავისა და მსხვერპლის ქორწინების საფუძველზე გამოძიების/დევნის შეწყვეტის შესაძლებლობას.¹³

სექსუალური ძალადობის დანაშაულები დასჯადია როგორც ქორწინებაში, ისე ქორწინების გარეშე. კანონმდებლობა დისკრიმინაციულ გამოწვევებს არ ითვალისწინებს სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებულ პირებთან მიმართებით. ასევე, კანონი განსაზღვრავს სქესისა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, შესაბამისად, სასჯელის დამძიმებას და ასახავს სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ თითქმის ყველა დამამძიმებელ გარემოებას.¹⁴

პრაქტიკის კუთხით, იმ საქმეებზე, რომლებმაც სასამართლო ეტაპს მიაღწია და რომლებზეც განაჩენი დადგა, გამოძიება დაიწყო მყისიერად, დაყოვნების გარეშე ჩატარდა სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები და დროულად მოხდა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება. გამოძიების პროცესში არ გამოიყენება მსხვერპლისა და მოძალადის „დაპირისპირების“ დისკრიმინაციული და მსხვერპლისთვის ტრავმული პროცედურა; ცრუ დასმენის მუხლით გამოძიება არ იწყება იმ საქმეებზე, სადაც სექსუალური ძალადობა ვერ დადასტურდა და საქმე დაიხურა.

მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანაზე გავლენას არ ახდენს დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები დაზარალებულის

12 იხ. აღნიშნული კვლევის მე-6 თავი.

13 ყოფილი საბჭოთა კავშირის გარკვეულ ქვეყნებში ეს გარემოებები კვლავ გამოიყენება სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა ან სასჯელისგან გასათავისუფლებლად. იხ. Equality Now's report Roadblocks to Justice, გვ. 12, 15, 26 და 40.

14 იხ. აღნიშნული კვლევის მე-6 თავი განმეორებით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით.

„არადამაკმაყოფილებელი“ მორალური მხარის შესახებ, ან დაცვის მხარის ადვოკატის უკმაყოფილება გენდერული თანასწორობის პრინციპების არსებობასთან მიმართებით.¹⁵ აღნიშნული დანაშაულებისთვის შეფარდებული სასჯელები, ძირითადად, მხედველობაში იღებდა დანაშაულის სიმძიმეს. სტამბოლის კონვენცია მოითხოვს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, დასჯას ეფექტიანი, პროპორციული და პრევენციული ეფექტის მქონე სანქციებით, აღნიშნული დანაშაულების სიმძიმის მხედველობაში მიღებით.¹⁶

1.2. სექსუალური ძალადობის დანაშაულების შეზღუდული დეფინიციები მატერიალურ კანონმდებლობაში

1.2.1 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გაუპატიურების და სხვა სახის სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიციის ამოსავალი წერტილი **მსხვერპლის თანხმობის არარსებობა** უნდა იყოს.

სტამბოლის კონვენციის თანახმად, სახელმწიფოს კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის დანაშაულების, მათ შორის გაუპატიურების, შემდეგი სახის დეფინიციას უნდა ითვალისწინებდეს (მუხლი 36):

- ა) სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გახეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;
- ბ) ადამიანთან, მისი თანხმობის გახეშე, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების განხორციელება;
- გ) სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გახეშე, მესამე პიხთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის ქმედება.

ამავე მუხლის მიხედვით, თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიხის ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გახეშომცველი პიხობების გათვალისწინებით.

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების შესწავლა და გაანალიზება, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლოს ეტაპზე, მოითხოვს მტკიცებულებათა შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით, რათა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს, გასცა თუ არა დაზარალებულმა ნებაყოფლობითი თანხმობა სექსუალურ აქტზე. თანხმობის არსებობის შეფასების დროს უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ სექსუალურ ძალადობაზე მსხვერპლები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოები არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ვარაუდით, რომ სექსუალური ძალადობის დროს მოსალოდნელია მსხვერპლისთვის დამახასიათებელი მხოლოდ რაიმე სახის ქცევა.¹⁷

სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული განმარტებები ეფუძნება ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების პრეცედენტულ სამართალს,¹⁸ რომელთა მიხედვითაც, გაუპატიურების შემადგენლობა არსებობს მაშინ, როდესაც მოძალადე „იყენებს ძალადობას, ძალადობის მუქარას ან იძულებას“ და, ასევე, „ბოროტად სარგებლობს მსხვერპლის ნების დამორჩენული გარემოებებით“. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით,

15 მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან შედარებითი ანალიზისთვის, იხ. The World's Shame: The Global Rape Epidemic - How laws around the world are failing to protect women and girls from sexual violence, 2018, Equality Now.

16 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 45.

17 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 192. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://rm.coe.int/16800d383a>.

18 პროკურორი აკაიუსს წინააღმდეგ, იხ. ICTR-96-4, სასამართლოს გადაწყვეტილება 02.09.1998, 596-598.

მსხვერპლის მიერ სექსუალურ აქტზე გამოხატული თანხმობა არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, თუ არსებულმა გარემოებებმა მას წაართვა **„ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის“** მიცემის შესაძლებლობა. მსხვერპლის დუმილი ან წინააღმდეგობის არგანევა არ ნიშნავს მის თანხმობას.¹⁹ შესაბამისად, თანხმობა არ შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, ნამდვილი ან რაიმე მნიშვნელობის მატარებელი, როდესაც მისი გამოხატვა ხდება მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში.

იმავს განამტკიცებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციას და საქართველოსთვის სავალდებულო ძალა გააჩნია. საქმეზე *M.C. v. Bulgaria* (2003) ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაში იგულისხმება **„თანხმობის გარეშე განხორციელებული ნებისმიერი სექსუალური აქტის კრიმინალიზაციის და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის მოთხოვნა, მათ შორის, მსხვერპლის ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში“**.²⁰ სასამართლოს თანახმად, ფიზიკური წინააღმდეგობის განევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა რისკის წინაშე აყენებს გაუპატიურების ზოგიერთი ფორმის დასჯის შესაძლებლობას და, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის სექსუალური ავტონომიის ეფექტიან დაცვას.²¹ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით.²²

ამასთანავე, გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW) განამტკიცებს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების განმარტებები, მათ შორის გაუპატიურება, ჩადენილი მეუღლის და ნაცნობის/პარტნიორის მხრიდან, უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლის თავისუფლად გამოხატული თანხმობის არარსებობას და მხედველობაში იღებდეს მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებს (კომიტეტის 35-ე ზოგადი რეკომენდაცია).²³ კომიტეტი საქმეზე *Karen Tayag Vertido v the Philippines* აკონკრეტებს, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობა უნდა:

ა. ითვადისწინებდეს „ცადსახა და ნებაყოფლობით თანხმობას“ და მტკიცებულებებს იმის თაობაზე, თუ ხა ნაბიჯები გადადგა ბიძგებუღმა იმაში დასახწმუნებდაღ, ხომ მსხვერპლი თანახმა იყო;

*ბ. ითვადისწინებდეს გაუპატიურებას „მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში“ და ამგვარი გარემოებების ფაქტო სპექტრს.“*²⁴

გაეროს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ (The UN's Handbook for Legislation on Violence against Women) დამატებით აღნიშნავს, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიცია აქცენტს არ უნდა აკეთებდეს ძალის გამოყენებაზე, რადგან გაუპატიურება, თავისთავად, არის ძალადობრივი აქტი. **დამატებითი ძალადობის შემთხვევაში, იგი უნდა გამოიყენებოდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოება.** ასევე, ადგენს, რომ რიგ ქვეყნებში სექსუალური ძალადობა არ არის კრიმინალიზებული, როდესაც იგი ხდება ქორწინებას ან ინტიმურ ურთიერთობებში. თუმცა, იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ამგვარი ქმედება კრიმინალიზებულია, პრაქტიკაში ასეთი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავის დასჯა იშვიათად ხდება.²⁵

19 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო „წესები პროცედურებისა და მტკიცებულებების შესახებ“, გაეროს დოკუმენტი ICC-ASP/1/3 (2002), წესი 70 ა-გ.

20 *M.C. v. Bulgaria*, No. 39272/98, 2003, აბზაცი 166.

21 *M.C. v. Bulgaria*, No. 39272/98, 2003, აბზაცი 166.

22 *M.C. v. Bulgaria*, No. 39272/98, 2003, აბზაცი 102-107 და 163.

23 ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, CEDAW/C/GC/35, ზოგადი რეკომენდაცია N35 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის განახლება, პარ. 5.

24 *Karen Tayag Vertido v the Philippines*, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.9(b)(ii).

25 სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე, გაერო, 2010, ST/ESA/329, გვ. 26 ხელმისაწვდომია: <http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20>

თანხმობის არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტები მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოხდეს თანხმობის არარსებობის ინტერპრეტაცია და რა გარემოებები უნდა იყოს ამისთვის მხედველობაში მიღებული.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC)²⁶ სექსუალური ძალადობის საქმეებში მტკიცებულების შეფასებისას ეყრდნობა 70-ე წესს, რომლის თანახმადაც:

(ა) თანხმობის ახსებობა ვეი იქნება ნაგუდისხმევი მსხვერპლის სიგყვებისა და ქცევის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ ძალადობა, ძალადობის მუქაჰა, იძულება ან ნების დამთხვევითი გახეობებით სახგებლობა აზიანებდა მსხვერპლის შესაძლებლობას, გამოეხატა ნებაყოფლობითი და გუღწევი თანხმობა;

(ბ) თანხმობის ახსებობა ვეი იქნება ნაგუდისხმევი მსხვერპლის სიგყვებისა და ქცევის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლს ახ შეედრო გუღწევი თანხმობის გამოხატვა;

(გ) თანხმობის ახსებობა ვეი იქნება ნაგუდისხმევი იმაზე დაყრდნობით, რომ სექსუალური ძალადობის შესაძრო მსხვერპრი იყო ჩუმად ან ახ გაუწევი წინააღმდეგობა.²⁷

საქმეში *Karen Tayag Vertido v. The Philippines*, CEDAW კომიტეტმა დაადგინა, რომ მსხვერპლის თანხმობა არ უნდა ივარაუდებოდეს, თუ მან ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუნია არასასურველ სექსუალურ ქცევას, „იმის მიუხედავად, დაემუქრა თუ არა, ან გამოიყენა თუ არა მოძალადემ ფიზიკური ძალადობა“.²⁸ კომიტეტის თანახმად, ბრალდებულმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მან გადადგა, რათა დაეღინა, თანახმა იყო თუ არა მსხვერპლი.²⁹

საქმეში *M.C. v. Bulgaria* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთში შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს, სათანადოდ გამოეძიებინათ დანაშაული, რადგან ისინი „ზედმეტად ამახვილებდნენ ყურადღებას გაუპატიურების „პირდაპირ მტკიცებულებაზე“, კერძოდ, ძალისა და მუქარის ელემენტებზე, როგორც ამას მოითხოვდა ეროვნული კანონმდებლობა. მათ „[მსხვერპლის] მიერ „წინააღმდეგობის განევა“, პრაქტიკულად, გაუთანაბრეს დანაშაულის განმსაზღვრელ ელემენტს.“³⁰ სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა თანხმობის არარსებობაზე, როგორც გაუპატიურების შემთხვევის შემადგენელ განმსაზღვრელ ელემენტზე და არაერთი ციტატა მოიყვანა ევროპული სახელმწიფოს სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობიდან და, ასევე, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალიდან (ICTY). კერძოდ, სასამართლომ განაცხადა:

პრაქტიკაში, შესაძრო, ხოუდი იყოს თანხმობის ახახსებობის დამგკიცება გაუპატიურების ისეთი „პიხდაპიხი“ მგკიცებულების ახახსებობის პიხოტებში,

[against%20women.pdf](https://www.endvawnow.org/en/articles/457-aggravating-circumstances.html). იხ. ასევე: <https://www.endvawnow.org/en/articles/457-aggravating-circumstances.html>

26 რუანდისა და იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალით დადგენილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სტანდარტები გაითვალისწინეს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) პროცედურისა და მტკიცებულების წესებში (RPE).

27 ICC, წესი 70(a)-(c), მტკიცებულებებისა და პროცედურების წესები, ICC-ASP/1/3, 2002.

28 *Karen Tayag Vertido v. The Philippines*, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.5.

29 *Karen Tayag Vertido v. The Philippines*, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.9, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოებმა უნდა „ამოიღონ კანონმდებლობაში არსებული ნებისმიერი მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სექსუალური ძალადობა ძალის ან ძალადობის გამოყენებით უნდა იყოს ჩადენილი, და ნებისმიერი მოთხოვნა შეღწევის მტკიცებულებასთან დაკავშირებით, და მინიმუმამდე დაიყვანოს მომჩივნის/მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაცია სექსუალური ძალადობის ისეთი განმარტების დანერგვით, რომელიც მოითხოვს „ცალსახა და ნებაყოფლობითი შეთანხმების“ არსებობას და ბრალდებულის მიერ იმ ნაბიჯების დადასტურებას, რომელიც გადადგა იმის დასაღვენად, თანახმა იყო თუ არა მომჩივანი/მსხვერპლი.“

30 *M.C. v. Bulgaria*, საქმე No. 39272/98, 2004, პუნქტი 182. პროაქტიური გამოძიების მოთხოვნები უფრო დეტალურად არის განხილული ქვემოთ, თავი C ex officio სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე.

ხოგოჩიკაა ძაღაღობის კვალი ან პიხდაპიხი მოწმეები. მიუხედავად ამისა, შესაბამისმა ოჩგანოებმა უნდა გამოიკვირონ ყველა ფაქტი და გადაწყვეტილება მიიღონ გაჩემომცვედი პიხოებების შეფასების საფუძველზე. **გამოძიება და გამოძიების დასკვნები ფოკუსიხებას უნდა ახედნეს თანხმობის ახახსებობის საკითხზე.**³¹ (ხაზგასმა დამატებულია)

დამატებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში *Karen Tayag Vertido v the Philippines*, CEDAW-მ დაადგინა, რომ „ცალსახა და ნებაყოფლობითი თანხმობის“ დადგენისას საჭიროა „მტკიცებულებები იმის თაობაზე, თუ ხა ნაბიჯები გადადგა ბხადებუღმა იმაში დასახწმუნებღად, ხომ მსხვერპლი თანახმა იყო.“³²

შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა იხელმძღვანელოს სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, რათა განსაზღვროს, თუ რა მტკიცებულებით საფუძველს გამოიყენებს სექსუალური ძალადობის საქმეებში მსხვერპლის თანხმობის არარსებობის დასადგენად. გამომძიებლებზე, პროკურორებსა და მოსამართლეებზე იქნება დამოკიდებული ახალი მტკიცებულებითი სტანდარტების გამოყენება, პროაქტიური საგამომძიებო მოქმედებების საფუძველზე, მსხვერპლის ჩვენებისგან დამოუკიდებლად.

1.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

დღესდღეობით საქართველოს კანონმდებლობა არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რომელთა თანახმადაც გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიცია დაფუძნებული უნდა იყოს მსხვერპლის თანხმობის არარსებობაზე, ხოლო ძალადობა უნდა განიხილებოდეს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება (როგორც ახსნილია სექციაში ზემოთ).³³

2017წელს, საქართველოს კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიცვალა სექსუალური ძალადობის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) შესაბამისი მუხლები, თუმცა კონვენციასთან ამ მუხლების სრული თანხვედრა არ მომხდარა. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო გაუპატიურების (სსკ-ის 137-ე მუხლი) დეფინიციას - 2017 წლამდე მუხლი განიშარტებოდა, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ჰეტეროსექსუალური სქესობრივი აქტი ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების გამოყენებით. ყველა დანარჩენი ძალადობრივი აქტი (როგორიცაა ჰომოსექსუალური აქტები და ქალსა და მამაკაცს შორის ჩადენილი ძალადობა ორივე ან ერთ-ერთი პირის სასქესო ორგანოს მონაწილეობის გარეშე) გაუპატიურების მუხლიდან გამოირიცხებოდა და განიხილებოდა სსკ-ის 138-ე მუხლის ფარგლებში (ძველი რედაქციით - სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედება³⁴). დღესდღეობით, კონვენციის შესაბამისად, გაუპატიურებად მიიჩნევა მსხვერპლის სხეულში ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილი ნებისმიერი სახის შეღწევა, სასქესო ორგანოს თუ საგნის გამოყენებით. ამასთანავე, გაფართოვდა სსკ-ის 139-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, სექსუალური ძალადობის აღნიშნული დანაშაულის ჩადენა უფრო ფართო გარემოებების შემთხვევაში არის შესაძლებელი, ვიდრე თავდაპირველი რედაქციით იყო გათვალისწინებული.

ზემოხსენებული ცვლილებების მიუხედავად, გაუპატიურების დეფინიცია კვლავ ეფუძნება ძალადობას, ძალადობის მუქარას ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას და იგი

31 M.C. v. Bulgaria, განაცხადი No. 39272/98, 2004, პუნქტი 181.

32 Karen Tayag Vertido v the Philippines, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.9(b)(ii).

33 იხ. UN Handbook for Legislation on Violence against Women, UN, 2010, ST/ESA/329, p. 26 available at: <http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf>. იხ. ასევე: <https://www.endvawnow.org/en/articles/457-aggravating-circumstances.html>

34 138-ე მუხლი 2017 წლამდე ითვალისწინებდა შემდეგს: „1. მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, ისევე თავისუფლების აღკვეთით, ვადით ექვსიდან რვა წლამდე.“

არ არის დამყარებული მსხვერპლის თანხმობის არარსებობაზე. სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, გაუპატიურება განისაზღვრება, როგორც *პიხის სხეულში ნებისმიერი ფოხმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქაჰით ან დაზარალების უმწეობის გამოყენებით.*

ზემოხსენებული მუხლის ფარგლებში, **ძალადობა** არის დეფინიციის შემადგენელი ნაწილი და არა დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება. **ძალადობის მუქარა** შეზღუდულად განიმარტება, როგორც სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების (როგორც სსკ-ის 151-ე მუხლით არის გათვალისწინებული) მყისიერი მუქარა, რომელმაც დაზარალებულს გაუჩინა მუქარის შესრულების საფუძვლიანი შიში³⁵ და არ მოიცავს მუქარის სხვა ფორმებს, რომლითაც, შესაძლოა, მოხდეს მსხვერპლის ნების პარალიზება. შესაბამისად, ამგვარი ხერხით ჩადენილი დანაშაული გაუპატიურების მიღმა ექცევა, ადამიანის უფლებათა სტანდარტის საწინააღმდეგოდ.

დაზარალების უმწეობის გამოყენების ინტერპრეტაციაც შეზღუდულია - იგი არ აღიქმება მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებად, როგორც ამას საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს.³⁶ უმწეო მდგომარეობა განიმარტება მსხვერპლის ისეთ მდგომარეობად, რომელიც, სხვადასხვა მიზეზის გამო (ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ალკოჰოლის ან ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და სხვ.), ხელს უშლის მსხვერპლს, გააცნობიეროს იმ ქმედებების მნიშვნელობა, რომლებსაც ის ექვემდებარება და მოკლებულია შესაძლებლობას, წინააღმდეგობა გაუწიოს მოძალადეს. კანონმდებლობა, ასევე, მხედველობაში არ იღებს მიზეზებს, რომელთა გამოც, შესაძლოა, დაზარალებულმა ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგალითად, მსხვერპლის შიშით, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში უფრო მეტი ზიანი მიადგება, ან, თუ მსხვერპლი პარალიზებული ან იზოლირებული იყო.³⁷

სსკ-ის 138-ე მუხლი, რომელიც 2017 წლამდე ჰომოსექსუალური აქტის გზით ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ეხებოდა, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ შეიცვალა და მასში არსებული ჰომოფობიური ენის ამოღება მოხდა.³⁸ დღესდღეობით, გაუპატიურება, ჩადენილი ჰეტეროსექსუალური, ჰომოსექსუალური აქტის ან სხვა სახის სექსუალური შეღწევის მეშვეობით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 137-ე მუხლის (გაუპატიურება) დეფინიციის იგულისხმება (აღნიშნული ტერმინები მუხლში ნახსენები არ არის), რაც შეესაბამება სტამბოლის კონვენციის სტანდარტს. მუხლი 138 კი ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას, *როგორც ახ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილ ძალადობით, ძალადობის მუქაჰით ან დაზარალების უმწეობის გამოყენებით.*

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 139-ე მუხლის დეფინიცია (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) გაფართოვდა სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოსაყვანად, არც აღნიშნული მუხლი მოიცავს მსხვერპლის თანხმობის არარსებობის პირობას და კონტექსტზე დაფუძნებული შეფასების მოთხოვნას, მათ შორის მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებზე დაყრდნობით. მუხლის თანახმად, ისევე *პიხის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონების დაზიანების, სახელის გამგები ინფორმაციის, პიხადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქაჰით, რომელმაც შეიძლება*

35 პრატიკაში აღნიშნული განმარტება იხ. მაგ. 2017 წლის 31 აგვისტოს დადგენილებაში გამოძიების შეწყვეტის შესახებ (სსკ, მუხლი 19-137).

36 იხ. სექცია ზემოთ CEDAW-ს და ICC-ს სტანდარტების შესახებ.

37 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N4750-18; ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18. სსკ-ის კერძო ნაწილი, II ნიგნი, ლეკვეიშვილი მზია, ნონა თოდუა და გოჩა მამულაშვილი. 2017წ. 2017 წლის 31 აგვისტოს დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ; 2018 წლის 30 დეკემბრის დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ.

38 ჰომოფობიურ ენაში იგულისხმება მუხლის დისპოზიცია, რომლითაც გათვალისწინებული იყო „მამათმავლობა, ლესბოსელობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით“.

ახსებითად დააზიანოს ამ პიხის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მაგეჩიადუხი, სამსახურეხივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით.

ზემოსხენებული მუხლი შემდეგ დანაშაულებს მოიცავს: 1) პენეტრაციის იძულება, რასაც ასევე მოჰყვება პენეტრაცია; 2) სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, რასაც ასევე მოჰყვება სექსუალური ხასიათის აღნიშნული ქმედება; 3) პენეტრაციის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, რომელიც დასრულდა იძულების ეტაპზე და მას არ მოჰყოლია პენეტრაცია ან სხვა სახის სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი. განსხვავება 139-ე და 137-ე მუხლებს, ასევე 139-ე და 138-ე მუხლებს შორის არის ის, რომ 139-ე მუხლი დანაშაულის ჩადენის მეთოდების უფრო ფართო სპექტრს ითვალისწინებს. შესაბამისად, გაუპატიურება, რომელიც ხორციელდება არა ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენების ხერხებით, რასაც 137-ე მუხლი ითვალისწინებს, არამედ ქონების დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გახმაურების მუქარით და სხვა ხერხებით, ხვდება 139-ე მუხლის ფარგლებში.

შესაბამისად, ზემოსხენებული პირველი დანაშაული უნდა ექცეოდეს 137-ე მუხლის ქვეშ რადგან იგი თავისი ბუნებით გაუპატიურებას წარმოადგენს ვინაიდან მოხდა პენეტრაცია. მეორე დანაშაული უნდა ექცეოდეს 138-ე მუხლში, რადგან მოხდა სექსუალური ხასიათის ფიზიკური კონტაქტი. თუ ამ ორ შემთხვევაში 139-ე მუხლის გამოყენება მოხდება, დანაშაული ასევე ექცევა ნაკლებად მძიმე დანაშაულებს შორის, სადაც სასჯელი არ შეესაბამება სექსუალური ძალადობის სიმძიმეს - სასჯელად ითვალისწინებს ჯარიმას ან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას (2020 წლის 17 მარტამდე ითვალისწინებდა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას).

ჯარიმა, როგორც სასჯელის სახე 139-ე მუხლით გათვალისწინებული გაუპატიურებისთვის, არ არის პროპორციული სექსუალური ძალადობის დანაშაულის არსის, ბუნების და დაზარალებულზე მისი ეფექტის გათვალისწინებით და ასეთ სასჯელს არ აქვს პრევენციული ეფექტი. მაგალითად, აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ ოთხი საქმიდან, სადაც პირს 139-ე მუხლის ფარგლებში შეეფარდა სასჯელი, პატიმრობა მხოლოდ ერთხელ იყო გამოყენებული 1 წლით და 6 თვის ვადით (და ამ საქმეშიც არსებობდა დანაშაულის ერთობლიობა).³⁹

მსხვერპლის თანხმობაზე დაფუძნებული დეფინიციის არარსებობა, როგორც საკანონმდებლო ხარვეზი და გენდერული სტერეოტიპების გამოყენება, რაც გარკვეული ტიპის სექსუალური ძალადობის დაუსჯელობას იწვევს, განსაკუთრებით გამოიკვეთა ერთ-ერთ საქმეში, სადაც გამოძიება გაუპატიურების მცდელობის კვალიფიკაციით დაიწყო (სსკ-ის 19-137-ე მუხლი). გამოძიებამ დაადასტურა (დაზარალებულის და მოწმის ჩვენებების, ვიდეოჩანაწერებისა და სხვა მტკიცებულებათა საფუძველზე), რომ დაზარალებული მოძალადეს, რომელთანაც იგი სტაჟიორად მუშაობდა, არაერთხელ, **„ხმამალალი ინტონაციით და ტირილნარევი ხმით“** ეუბნება უარს სქესობრივი აქტის დამყარების მცდელობაზე. მიუხედავად თანხმობის არარსებობის ფაქტობრივი დადასტურებისა, პროკურორმა დანაშაულის ნიშნები არ დაადგინა, რადგან დაასკვნა, რომ არ არსებობდა არც ერთი მუხლით (მათ შორის, არც სსკ-ის 19-139-ე, 150-ე და 143-ე მუხლებით) განსაზღვრული შემადგენლობა რიგ მიზეზებზე დაყრდნობით, მათ შორის **„ვინაიდან [მსხვერპლს] ეცვა მოკლე შორტი, [სავარაუდო მოძალადეც] ეფერებოდა მას“; მსხვერპლს „ფიზიკური ზიანი არ მისდგომია,“ „ფიზიკურ წინააღმდეგობას არ ნევდა“, „ყვირილი არ აუტეხავს და საშველად არავისთვის მოუხმია“.**⁴⁰

თანხმობის არარსებობის გამოკვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე, განგრძობადი ძალადობის (მათ შორის, ოჯახში ძალადობის) კონტექსტში ჩადენილ

39 ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე N1/080-18.

40 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, 31.08.2017, N0072 50817004.

სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით, სადაც მსხვერპლის მიერ თანხმობის გამოხატვაც კი, შესაძლებელია, არ იყოს თავისუფალი და ნებაყოფლობითი, როგორც ამას სტამბოლის კონვენცია მიუთითებს.

შესაბამისად, მიუხედავად სტამბოლის კონვენციის გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი პროგრესული ცვლილებებისა, დღესდღეობით, კვლავ რჩება შემდეგი ძირითადი პრობლემები:

1) *სექსუალური ძალადობის დანაშაულების დეფინიცია ახ ეფუძნება მსხვერპლის თავისუფალი, ნებაყოფლობითი თანხმობის ახახსებობას, ხომელიც უნდა შეფასდეს მსხვერპლის ნების დამთხვევითი გახმოებების ფაქტით სპექტრის გათვალისწინებით;*

2) *ძალადობა ახის გაუპატიუების დეფინიციის შემადგენელი ნაწილი და ახა მისი დამამძიმებელი გარემოება,⁴¹ ხოლო მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევა პრაქტიკაში გათანაბრებულია დანაშაულის ედემენტთან (იხ. თავი მე-4 მტკიცებულებების შესახებ).*

3) *სექსუალური ძალადობის გახვეული ფორმები, ხომელიც თავისი ბუნებით გაუპატიუებას და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას ითვალისწინებს, კვადიფიციხდება, ხოგოხც ნაკდება მძიმე დანაშაული (მუხლი 139-ე), ხომელიც ახ ითვალისწინებს ადეკატურ სასჯელს.*

მნიშვნელოვანია, რომ სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში შესაბამისმა ორგანოებმა, სტამბოლის კონვენციის სავალდებულო ძალის გათვალისწინებით, უზრუნველყონ სისხლის სამართლის არსებული კანონმდებლობის განჭვრეტადი განმარტება და, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, გამოიკვლიონ თანხმობის არარსებობის საკითხი, რაც არსებული კანონმდებლობის პროგრესული და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შესაბამისი ინტერპრეტაცია იქნება.

2. სექსუალური ძალადობის გენდერული ასპექტი

2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა არის სისტემური და სტრუქტურული უთანასწორობის, ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებისა და საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის შედეგი. მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების სისტემა ითვალისწინებდეს ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, გენდერულ ბუნებას, რათა სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებას ამ სახის დანაშაულებზე ჰქონდეს ტრანსფორმაციული ეფექტი, დე ფაქტო, არსებითი თანასწორობის მისაღწევად.

სტამბოლის კონვენციის პრეამბულა⁴² განამტკიცებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ახის ისგოხიუდად ქადება და მამაკაცებს შოხის ძალთა უთანასწორობის გამოვდენა, ხამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხიდან ქადების დისკრიმინაციამდე, მათზე დომინიხებამდე და ხედი შეუშადა ქადების სხუდ თანასწოხუფდებიანობას (პხეამბუდა).

კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობის, ხოგოხც გენდერული ნიშნით განხოხციედებუდი ძალადობის სტრუქტურული ბუნებას და იმას, ხომ ქალთა მიმართ ძალადობა ახის ეხთ-ეხთი ის მთავახი სოციადური მექანიზმი, ხომდის საშუადებითაც ქადები

41 იხ. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 87.

42 სტამბოლის კონვენცია, პრეამბულა: <https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008482e>.

იძულებუნი ახიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა (პრეამბულა).

სტამბოლის კონვენცია ასევე მიუთითებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის *de jure* და *de facto* თანასწორობის უზრუნველყოფა ახის ქაღთა მიმახთ დადადობის პრევენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი (პრეამბულა).

სტამბოლის კონვენცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა არის ქალის დისკრიმინაციის ფორმა.⁴³ CEDAW კომიტეტის განმარტებით, გენდერული ძალადობა დისკრიმინაციის ფორმაა, ვინაიდან იგი ჩადენილია ქალის მიმართ იმ მიზეზით, რომ იგი ქალია, ან ასეთი ძალადობა არაპროპორციულად აზიანებს ქალებს.⁴⁴ სტამბოლის კონვენცია განმარტავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ადამიანის უფლებების დაზიანება, ქაღთა მიმახთ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქაღებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება.⁴⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, ძალადობის ფაქტების გამოძიების დროს, სახელმწიფოს ეკისრება დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დანაშაულში გამოკვეთოს დისკრიმინაციული მოტივი.⁴⁶ შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია, სექსუალურ ძალადობაზე, როგორც ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ფორმაზე, რეაგირება მოახდინოს დისკრიმინაციული გამოვლენის ქრილში და სისხლისსამართლებრივ პროცესებში გაითვალისწინოს გენდერული ხედვა.

სათანადო გულისხმიერების სტანდარტი (due diligence)

სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, გამოიჩინოს სათანადო გულისხმიერება (due diligence) გენდერული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, დანაშაულებთან მიმართებით. სათანადო გულისხმიერების სტანდარტი ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის პრევენციის, გამოძიებისა და დასჯის, ასევე, მსხვერპლებისთვის რეპარაციების მიკუთვნების ვალდებულებას.⁴⁷

გენდერული ხედვის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და პრაქტიკის განვითარების დროს, ნებისმიერ ეტაპზე. გენდერულ ძალადობაზე რეაგირების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმასა და გამოვლინებას.⁴⁸

გენდერული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, **პრევენციის ზომების** ნაწილია სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს „ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასაწერგად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს.“⁴⁹ ამ მიზნით, სახელმწიფო ასევე ვალდებულია, გაზარდოს ცნობადობა ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმისა⁵⁰

43 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 19, აბზაცი 1 და ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 2 და 9.

44 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 1.

45 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 3.

46 Nachova v Bulgaria, No. 43577/98 43579/98, para 160; BS v Spain, No. 47159/08 para 58; Identoba v Georgia, No. 73235/12, para 67.

47 იხ. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 5.

48 CEDAW კომიტეტი, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 41, 43, 47, 48, 49, 50. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 6.

49 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 12.1. იხ. ასევე - CEDAW, მუხლი 5.

50 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 13.1.

და მისი პრევენციის საშუალებების შესახებ,⁵¹ უზრუნველყოს ყოვლისმომცველი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ასაკის შესაბამისი სექსუალური განათლება,⁵² ებრძოდოს სტერეოტიპულ გენდერულ როლებს და ხელი შეუწყოს არაძალადობრივი მასკულინური კულტურის ჩამოყალიბებას,⁵³ მათ შორის, ებრძოდოს გენდერულ სტერეოტიპებს მედიის მეშვეობით.⁵⁴

სექსუალური ძალადობის **გამოძიებისა და დასჯის** ვალდებულება ითვალისწინებს ძალადობის ყველა ფორმაზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას⁵⁵ სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულებებზე, მათ შორის მსხვერპლებთან, მუშაობენ დაზარალებულის ინტერესებზე ორიენტირებული მიდგომით.⁵⁶ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულების გამოძიება და დასჯა არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლის საჩივარსა ან საჩივრის გატანაზე.⁵⁷ ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უპირველესი ვალდებულება, ძალადობის ინტენსივობის მიუხედავად, უნდა ეკისრებოდეს საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს.⁵⁸ გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა უნდა არსებობდეს სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად იმ პოლიციელებისა და პროკურორებისთვის, რომლებიც სათანადოდ არ ასრულებენ სისხლის სამართლის დანაშაულზე რეაგირების ვალდებულებას.⁵⁹

ამასთანავე, სტამბოლის კონვენციის თანახმად, სრულწლოვანი პირის ან არასრულწლოვანის ქორწინების იძულება უნდა იყოს სისხლის სამართლის წესით დასჯადი და უნდა მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის - მათ შორის სექსუალური ძალადობის - სისხლისსამართლებრივი გამოძიება. ძალადობის გამართლება არ უნდა მოხდეს კულტურის, წესების, რელიგიის, ტრადიციის ან ე.წ. „ღირსებაზე“ დაყრდნობით. სტამბოლის კონვენცია ასევე მოითხოვს, რომ იძულებით ქორწინებას არ ჰქონდეს სამართლებრივი ძალა და მისი გაუქმება არ უნდა იწვევდეს მსხვერპლისთვის შეუსაბამო ფინანსურ ან ადმინისტრაციულ ტვირთს.⁶⁰

გენდერული ძალადობისთვის ყველა ფორმის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ადეკვატური, დროული, ყოვლისმომცველი და მიყენებული ზიანის პროპორციული **რეპარაციები**.⁶¹ ისინი უნდა მოიცავდეს როგორც ფინანსურ კომპენსაციას, ისე სამართლებრივ, სოციალურ და ჯანდაცვის სერვისებს, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს და გარანტიებს, რომ ძალადობა არ განმეორდება.⁶² სახელმწიფომ უნდა შექმნას რეპარაციების ადმინისტრაციული სქემა, რომელიც იქნება სასამართლოს გზით უფლების აღდგენისგან დამოუკიდებელი. იმავდროულად, უნდა შექმნას „ტრანსფორმაციული რეპარაციების პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება დისკრიმინაციისა და ჩავჯის, როგორც ძირეული მიზეზების, აღმოფხვრისკენ, რამაც გამოიწვია ან

51 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 13.2.

52 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 35 (ა).

53 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 35 (ა).

54 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 37.

55 UN Handbook for Legislation on Violence against Women, 2012, p 34-36; სტამბოლის კონვენცია, მუხლი 50(1); CEDAW ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 38 (ბ).

56 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 15(1); CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 38 (ბ).

57 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 55; See also Opuz v Turkey (2009) ECHR 870, აბზაცი 138-139.

58 Updated Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice, adopted by the General Assembly under its resolution 65/228 (2010), para 14(b).

59 Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012, “establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, art 11.

60 Istanbul Convention, Articles 32, 37 and 42. სტამბოლის კონვენცია, მუხლი 32, 37 და 42.

61 nb. Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law, adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005. nb. ასევე CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 46-47; სტამბოლის კონვენცია, მუხლი 5.2. nb. ასევე ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზების და შედეგების საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში, UN Doc. A/HRC/14/22, (2010), აბზაცი 12-85.

62 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 44. სტამბოლის კონვენცია, მუხლები 29.1 და 30.1.

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დარღვევის ჩადენას, ინდივიდუალური ინსტიტუციური და სტრუქტურული ასპექტების“; ასევე, მსხვერპლის ღირსების, უსაფრთხოებისა და გადაწყვეტილებების გათვალისწინებით.⁶³

2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას, აქვს გენდერული ნიშანი. აღნიშნულის გათვალისწინება მოხდა სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებისთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად, 2017 წელს, როდესაც ცვლილება განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონში. კანონის თანახმად, *ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისთვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური განჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქაჲა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.*⁶⁴

მიუხედავად ზემოხსენებული ცვლილებისა, კანონმდებლობა კვლავ სრულად არ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციის (მუხლი 3) მოთხოვნებს და არ ითვალისწინებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის სექსუალური ძალადობა, არის ქალის დისკრიმინაციის ფორმა. ეს ჩანაწერი ასევე არ გვხვდება დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონებში.

სსკ-ის თანახმად, გენდერისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით დანაშაულის ჩადენა განისაზღვრება, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება სსკ-ით გათვალისწინებული ყველა დანაშაულის შემთხვევაში (მუხლი 53¹.1), რაც, ასევე, მოიცავს სექსუალური ძალადობის დანაშაულებს.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობას კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმას, კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას, სსკ-ის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულება განხორციელდეს გენდერული ხედვით და სტრუქტურული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც სექსუალური ძალადობის ერთ-ერთი ძირეული მიზეზია.

სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს ასევე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სხვადასხვა მავნე პრაქტიკას, როგორც არის მოტაცება ქორწინების იძულების მიზნით,⁶⁵ ბავშვობის ასაკში იძულებითი ქორწინება და მისი სხვა ფორმები. ქორწინების, მათ შორის არარეგისტრირებული ქორწინების, იძულება არის სისხლის სამართლის დანაშაული (სსკ-ის მუხლი 150¹). მოტაცება ქორწინების იძულების მიზნით არ არის ცალკე მუხლად გამოყოფილი, თუმცა, იგი ისევე თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლის ქვეშ (სსკ-ის მუხლი 143).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები სსკ-ის სხვადასხვა მუხლით პასუხისმგებლობას

63 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 35, აბზაცი 47. სტამბოლის კონვენცია, მუხლები 30.2 და 30.3.

64 საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 31.

65 ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება არის ქორწინების იძულების ფორმა. ეს არის მავნე პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებს ქალისთვის თავისუფლების აღკვეთას ძალადობით ან მოტყუებით და მის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობის ან იძულების განხორციელებას იმისთვის, რომ მსხვერპლმა იძულებითი ქორწინების მოძალადეზე. ამგვარი პრაქტიკა გავრცელებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ცაკლელ ქვეყნებში. იხ. Roadblocks to Justice report, Equality Now, pg. 27.

ითვალისწინებს, როგორც Equality Now აღნიშნავს, ამგვარ ფაქტებზე საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ცალკეულ ქვეყნებში არ არსებობს ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, რაც, ხშირ შემთხვევაში, იწვევს აღნიშნულ დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ერთობლიობაში ჩადენილი სექსუალური ძალადობის დაუსჯელობას.⁶⁶

პიქტიკა

შესწავლილი საქმეების ანალიზიდან იკვეთება, რომ სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს, არცერთ ეტაპზე, გენდერული ხედვის გათვალისწინება არ მომხდარა. სექსუალური ძალადობა საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრიდან არ აღიქმება, როგორც გენდერული დანაშაული, რომლის მსხვერპლები ხდებიან ქალები და გოგონები, მათი სექსის და გენდერის გამო და რომ ამგვარი ქმედება არაპროპორციულად აზიანებს ქალებს. ხშირ შემთხვევაში, დანაშაულის სამიზნე ქალები ექცევიან დაქვემდებარებულ მდგომარეობაში სწორედ ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების, პატრიარქალური სოციალური და კულტურული ნორმებისა და პრაქტიკის შედეგად. შესაბამისად, არცერთ საქმეზე, სადაც სექსუალურ ძალადობაზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, არ მომხდარა შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევა, სასამართლო განაჩენებში გენდერული ხედვის განვითარება და, ამგვარი მოტივის გამოვლენის შემთხვევაში, დამნაშავესთვის სასჯელის დამძიმება.

სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო ორგანოებს **დანაშაულის გენდერული ბუნება არც ისეთ შემთხვევებზე შეუფასებიათ, როდესაც სექსუალური ძალადობის ჩადენა მოხდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან - ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცებასთან - კავშირში.** რუსთავის საქალაქო სასამართლოში⁶⁷ განხილული საქმის მასალების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ ბრალდებული და მისი ორი მეგობარი (რომლებიც ასევე ბრალდებულები იყვნენ საქმეზე) დაზარალებულის მოტაცებას ცოლად შერთვის მიზნით ამართლებენ იმით, რომ ფ.ზ-სა და ს.ზ-ს „ერთმანეთი უყვარდათ“. იმის მიუხედავად, რომ ბრალდებულის და დაზარალებულის წინარე ურთიერთობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ცვლის ჩადენილი დანაშაულის ბუნებას, აღნიშნულ ფაქტზე აპელირებდნენ გამომძიებლებიც და ყველა მოწმეს უსვამდნენ ერთსა და იმავე კითხვას - უყვარდათ თუ არა ერთმანეთი ბრალდებულსა და დაზარალებულს და იყვნენ თუ არა ისინი შეყვარებულები. ამასთანავე, საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბრალდებულები ძალის გამოყენებითა და დაშინებით ზემოქმედებდნენ დაზარალებულზე, რადგან დაზარალებულს არ სურდა ბრალდებულთან ურთიერთობა. ამ საქმეში, როგორც ბრალდებულის ოჯახის წევრები, ასევე ბრალდებულის ინტერესების დამცველი მიუთითებენ, რომ მოტაცება, რომელიც დაკავშირებულია ოჯახის შექმნასთან, არის ტრადიცია და იგი არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მკაფიოდ ადასტურებს ე.წ. ტრადიციებით გამყარებული გენდერული დისკრიმინაციის მოტივს, მასზე პროკურორს მითითება არ გაუკეთებია. იმავდროულად, არც მოსამართლეს უმსჯელია დანაშაულის შესახებ გენდერულ კონტექსტში და არ გამოუყენებია ის ბრალდებულების მიმართ, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა **ქორწინების იძულების მიზნით მოტაცების კიდევ ერთ საქმეში,**⁶⁸ სადაც, ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, თუმცა აღნიშნა, რომ პრობლემა აღმოფხვრილია, რადგან მან დაზარალებულზე იქორწინა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაზარალებულის ოჯახის წევრებმა რამდენჯერმე უთხრეს

66 nb. Roadblocks To Justice: How The Law Is Failing Survivors Of Sexual Violence In Eurasia, Equality Now, 2019, გვ. 26-28, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://d3n8a8pro7vnm.cloudfront.net/equalitynow/pages/1581/attachments/original/1547485403/EN-Eurasia_Rpt_ENG_-_Web.pdf?1547485403.

67 რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-559-17.

68 ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე N1/81-18.

უარი ბრალდებულს ქორწინებაზე, თუმცა მან მაინც გადაწყვიტა დაზარალებულის მოტაცება ძალის გამოყენებით. პროცესზე ბრალდებულის ადვოკატი ასევე ამახვილებდა ყურადღებას ქორწინების ფაქტზე და ამბობდა, რომ ისინი შეუღლდნენ, შესაბამისად, საშიში აღარაფერია და, თუ ბრალდებული პატიმრობაში დარჩებოდა, ოჯახი დაინგრეოდა. ეს მიუთითებს სექსუალური ძალადობის დანაშაულის საჯარო სფეროდან კერძო სფეროში გადატანის ტენდენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს დაცვის მხარის არგუმენტები დამნაშავის პასუხისმგებლობის გამოსარიცხად ან შესამცირებლად არ გამოუყენებია, არც ამ შემთხვევაში მომხდარა დანაშაულის გენდერულ ბუნებაზე აპელირება როგორც პროკურორის, ისე მოსამართლის მხრიდან, შესაბამისად, არც სასჯელის დამძიმება დისკრიმინაციული მოტივის გამო.

დანაშაულის გენდერული ბუნების გამოსაკვეთად არც **ძალადობის წინარეისტორია და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებები** აღმოჩნდა საკმარისი. შესწავლილი საქმეებიდან ექვსში⁶⁹ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, დაზარალებულები წარსულში იყვნენ ძალადობის მსხვერპლები როგორც პარტნიორების, ისე სხვა პირების მხრიდან. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში დამნაშავე, სექსუალური ძალადობის ჩადენამდე, ფსიქოლოგიურად ძალადობდა მსხვერპლზე - აშანტაჟებდა და ემუქრებოდა პირადი ფოტოების გასაჯაროებით.⁷⁰ სხვა საქმეში⁷¹ დაზარალებული მიუთითებდა, რომ მისი პარტნიორის მხრიდან ადრეც „ჰქონდა ადგილი კონფლიქტებს“ და ამის მიზეზი, ძირითადად, ეჭვიანობა იყო. სასამართლომ ეს ფაქტი გაითვალისწინა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცესში, თუმცა არც ბრალდების მხარეს და არც მოსამართლეს ის არ შეუფასებია, როგორც დამამძიმებელი გარემოება ან როგორც დისკრიმინაციულ მოტივზე მიმანიშნებელი ფაქტორი. ამასთანავე, დამამძიმებელ გარემოებად არ ყოფილა გათვალისწინებული გარემოებები, სადაც ძალადობის ჩადენა ხდებოდა არაერთხელ.⁷²

ამის საპირისპიროდ, რიგ შემთხვევაში, დაცვის მხარის ადვოკატი მიუთითებდა გენდერული თანასწორობის პრინციპებზე, როგორც ბრალდებულისთვის დამაზიანებელ კონცეფციაზე. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ბრალდებულის ადვოკატი აღნიშნავდა, რომ ყველა შემთხვევა გენდერული თანასწორობის კონტექსტში განიხილებოდა და ამით უპირატესობა ენიჭებოდა დაზარალებულს.⁷³ ეს ფრაზა მოსამართლემ რეაგირების გარეშე დატოვა.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციულ მოტივზე მითითება მოხდა როგორც ბრალდების მხარის, ისე მოსამართლის მიერ ერთ-ერთ საქმეში,⁷⁴ რომელიც ოჯახში ძალადობას და სექსუალურ ძალადობას (გაუპატიურებას) ეხებოდა. მეუღლე წლების განმავლობაში ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა დაზარალებულს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2017-2018 წლებში „112-ში“ შესული იყო 3 შეტყობინება. ამ შეტყობინებებზე საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი იყო რეაგირების ოქმები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ დაზარალებულმა უარი განაცხადა შემაკავებელი ორდერის გამოწერაზე. ამის მიუხედავად, გამოძიების პროცესში დაზარალებული ჩადენილ ძალადობას ადასტურებდა. სასამართლო პროცესებზე დაზარალებულის დედა ასევე ყურადღებას ამახვილებდა წარსულში ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე. თუმცა ამ საქმეში პირი გამართლდა გაუპატიურების ჩადენაში. შესაბამისად, არ დადასტურდა სექსუალური ძალადობის დისკრიმინაციული მოტივით ჩადენა.

69 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/297-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N4750-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3824-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18; 1; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/5700-18.

70 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/5700-18.

71 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N4750-18.

72 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46.ბ.

73 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/658-17.

74 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4873-18.

3. პროაქტიურ და ex officio მიდგომებთან დაკავშირებული პრობლემები

3.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სათანადო გულისხმიერების (due diligence) გამოჩენა, სხვა ვალდებულებებთან ერთად, ასევე მოიაზრებს მათზე საჯარო, ex officio, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას და სახელმწიფოს პროაქტიურ მიდგომას ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის, მსხვერპლის დაცვისა და დახმარების ღონისძიებების უზრუნველყოფის კუთხით. სტამბოლის კონვენციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის რიგ დანაშაულებზე, მათ შორის სექსუალური ძალადობაზე, „გამოძიება ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს მთლიანად დამოკიდებული მსხვერპლის მიერ შეტანილ განცხადებასა ან საჩივარზე“ (მუხლი 55). ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პროაქტიური როლი და იმის უზრუნველყოფა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლს არ ეკისრებოდეს მტკიცებულებების შეგროვებისა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებული ტვირთი.⁷⁵ ამასთანავე, მსხვერპლს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია უფლების დაცვის სხვადასხვა, მათ შორის რეგიონული და საერთაშორისო, მექანიზმის შესახებ და უნდა გაეწიოს დახმარება ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად (მუხლი 21).

CEDAW-ს კომიტეტი ასევე განამტკიცებს, რომ სახელმწიფომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, შესაბამის შემთხვევებში, უნდა უზრუნველყოს ex officio დევნა, სამართლიანი და დროული მართლმსაჯულება და დამნაშავეებისთვის ადეკვატური სანქციის შეფარდება,⁷⁶ ამასთან, გაუპატიურება, როგორც მძიმე დანაშაული, ყოველთვის უნდა ექვემდებარებოდეს სავალდებულო გამოძიებასა და დევნას.⁷⁷ ევროპული სასამართლო ასევე ადგენს გამოძიების ვალდებულებას საქმის საჯარო ინტერესზე დაყრდნობით, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მსხვერპლს უკან გააქვს შეტანილი საჩივარი.⁷⁸

3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება სტამბოლის კონვენციის, ევროპული სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ზემოთ განხილულ სტანდარტებს და ყველა სახის დანაშაულზე, მათ შორის სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე, სავალდებულო გამოძიებას უზრუნველყოფს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება საჯარო ინტერესისა და მტკიცებულებითი ტესტის შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, თუ დაზარალებული „უკან გამოიხმობს“ შეტყობინებას დანაშაულის შესახებ, ეს არ წარმოადგენს გამოძიების შეწყვეტის ან დევნის არდაწყების საფუძველს.

კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღება ავტომატურად წარმოშობს ამ დანაშაულზე გამოძიების დაწყების ვალდებულებას. სსსკ-ის მე-100 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პოკუჰოხი ვადებუდნი აჩიან, დაიწყოთ გამოძიება. გამომძიებლის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პოკუჰოხს. ამასთანავე, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია გულისხმობს ინფორმაციას, რომელიც მიაწოდეს გამომძიებელს ან პოკუჰოხს, გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს ან გამოქვეყნდა მასმედიაში.⁷⁹ ამავე მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი ან სხვაგვარად დაფიქსირებული.⁸⁰

75 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, § 279.

76 CEDAW/C/GC/35, ზოგადი რეკომენდაცია 35, §44.

77 CEDAW/C/OP.8/KGZ/1, 21.09.2018, § 92.ა. X. and Y. v. Russia, no. 100/2016, CEDAW/C/73/D/100/2016, 09.08.2019.

78 Opuz v. Turkey, App. no. 33401/02, ECHR, 09.06.2009, § 139 და 145.; Volodina v. Russia, app. no. 41261/17, 09.07. 2019.

79 სსსკ, მუხლი 101.

80 სსსკ, მუხლი 101.

შესაბამისად, დანაშაულის შესახებ ნებისმიერი წყაროდან, მათ შორის სხვა სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, მიღებული ინფორმაცია წარმოშობს გამოძიების დაწყების ვალდებულებას და მისი გამოძიებისთვის აუცილებელი არ არის დაზარალებულის განცხადება. აღნიშნული წესი მოქმედებს ყველა სახის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის დანაშაულების შემთხვევაში. სსკ-ის თანახმად, მსხვერპლის მიერ დანაშაულის შესახებ ინფორმაციის უკან გახმობა ან ჩვენების შეცვლა არ განეკუთვნება გამოძიების შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების საფუძვლებს (სსკ-ის 105-ე მუხლი).

სსსკ-ის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკური სახეობის დისკრიმინაციული უფლებამოსილებით, ხა ძირითად ხელმძღვანელებს საჯარო ინტერესებით.⁸¹ პროკურორი დევნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების⁸² თანახმად, ეყრდნობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებით ტესტსა და საჯარო ინტერესის ტესტს. მტკიცებულებითი ტესტის დაკმაყოფილება ხდება მაშინ, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები ქმნის საკმარის საფუძველს სასამართლოში მსჯავრდების რეალური პერსპექტივისთვის, ხოლო საჯარო ინტერესის ტესტი კმაყოფილდება, როცა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესით არის ნაკარნახევი.⁸³ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საჯარო ინტერესი, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, განისაზღვრება სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებით, დანაშაულის სიმძიმით, დევნის შესაძლო პრევენციული ეფექტით, პირის ნასამართლობითა და მისი პიროვნული თვისებებით.⁸⁴

ზემოხსენებული პრინციპების თანახმად, დისკრიმინაციული მოტივით, მათ შორის სქესის ნიშნით დისკრიმინაციით, დანაშაულის ჩადენა მიუთითებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობაზე.⁸⁵ თუმცა, პრინციპები კონკრეტულად არ განსაზღვრავს, რომ გენდერული დანაშაულების (მათ შორის, სექსუალური ძალადობის და ოჯახში ძალადობის) გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა საჯარო ინტერესის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწონილობაზე, პრინციპების თანახმად, მიუთითებს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის, თუ პირმა აუნაზღაურა დაზარალებულს დანაკარგი ან მიყენებული ზიანი. თუმცა, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა იყოს უარყოფილი მხოლოდ ამ საფუძვლით.⁸⁶ დოკუმენტი არ ითვალისწინებს რამე სახის გამონაკლისს ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე ზიანის ანაზღაურების არარეგულაციურობასთან მიმართებით დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა დადგენილებებმა სექსუალური ძალადობის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ აჩვენა, რომ საქმის მასალები სსკ-ის 137-ე მუხლით (გაუპატიურება) მიმდინარე გამოძიების შეწყვეტის საფუძველს იძლეოდა, ვინაიდან, დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არ იკვეთებოდა აღნიშნული დანაშაულის ნიშნები. თუმცა, საქმეების უმეტესობაში, შესაძლოა, ვლინდებოდეს ex officio დევნის ვალდებულების არასათანადო შესრულება. კერძოდ, საქმის მასალები, შესაძლოა, იძლეოდა სექსუალური ძალადობის სხვა მუხლსა (მაგალითად, სსკ-ის 139-ე მუხლი) ან ქალთა მიმართ ძალადობის სხვა დანაშაულზე (მაგალითად, ადევნება, ძალადობა,

81 სსსკ, მუხლი 16.

82 საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №181, 2010 წლის 8 ოქტომბერი, ქ. თბილისი, სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ.

83 იხ. ზემოთ, იუსტიციის მინისტრის ბრძანება.

84 იხ. ზემოთ, იუსტიციის მინისტრის ბრძანება, აბზაცი 3.

85 იხ. ზემოთ, იუსტიციის მინისტრის ბრძანება, აბზაცი 8ბ.

86 იხ. ზემოთ, სქოლიო 78, აბზაცი 8.გ.

იძულება) გადაკვალიფიცირებისა და გამოძიების გაგრძელების შესაძლებლობას. გარდა ამისა, შეიძლება იკვეთებოდა ისეთი ქმედებები, რომლებზეც გათვალისწინებული არასისხლისსამართლებრივი მექანიზმები (სექსუალური შევიწროება და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სხვადასხვა ქმედება, რომლებიც სისხლის სამართლის დანაშაულის ზღვარს არ აღწევს) და საჭიროებდა სამართლებრივ რეაგირებას.

არცერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის მასალები არ მოიცავს ინფორმაციას იმაზე, რომ მოხდა დაზარალებულის ინფორმირება და გადამისამართება იმ არასისხლისსამართლებრივ მექანიზმებზე, რომლებიც სექსუალური შევიწროების დროს მოქმედებს (მათ შორის, სამოქალაქო სამართლებრივი და ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული მექანიზმები) და რომლებიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით არის გათვალისწინებული (შემაკავებელი და დამცავი ორდერები). კვლევის ფარგლებში შესწავლილი სისხლის სამართლის საქმის მასალები არ მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რა ზომები იყო მიღებული მსხვერპლის დაცვისა და დახმარებისთვის.

2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე პერიოდში გამოძიება შეწყდა სექსუალური ძალადობის 17 საქმეზე (დანაშაულები - გათვალისწინებული სსკ-ის 137-139 მუხლებით, იხ. დანართი).⁸⁷ გამოძიების შეწყვეტის მიზეზად მითითებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედების არარსებობა,⁸⁸ რაც დასაბუთებულია იმით, რომ გამოძიების მიმდინარეობისას მოპოვებული მტკიცებულებებით⁸⁹ არ დასტურდება შესაძლო დანაშაულის ჩამდენის მიერ სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების განხორციელება. კერძოდ, გამოძიების შეწყვეტის მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ არ იკვეთება ქმედების ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ჩადენა, რაც საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობის მიხედვით, გაუპატიურების მუხლის შემადგენელი აუცილებელი ელემენტებია და მათ გარეშე ქმედება გაუპატიურების დანაშაულად არ კვალიფიცირდება. რაც შეეხება სექსუალური ძალადობის სხვა მუხლებით დაწყებულ გამოძიებას (138-139), დადგენილებების თანახმად, საქმეებში მათი დამადასტურებელი მტკიცებულებებიც არ არსებობდა.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ისიც, რომ რიგ საქმეებში გამოძიება წყდება მსხვერპლის მიერ ჩვენების ან სამართალდამცავ უწყებაში თავდაპირველად გაკეთებული შეტყობინებების შეცვლის გამო.⁹⁰ ასევე, დადგენილებათა თანახმად, გამოძიება ადგენს, რომ სექსუალური კავშირი ნებაყოფლობით იყო დამყარებული, თუმცა მსხვერპლები, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიშით, თავდაპირველად, სექსუალური კავშირის ძალადობრივ ხასიათზე მიუთითებდნენ. შესაბამისად, გაუპატიურებისა და გაუპატიურების მცდელობის შემთხვევებზე გამოძიება მსხვერპლის მიერ მიცემული ხელახალი ჩვენების საფუძველზე წყდება (თუმცა, დადგენილებებიდან არ ჩანს, თუ რა გააკეთა გამომძიებელმა/პროკურორმა იმისათვის, რომ გამოერკვია, ხომ არ იყო ჩვენების შეცვლის მიზეზი სავარაუდო დამნაშავის ან სხვა პირისგან ზეწოლა, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმა ან საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიში). ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში საქმეზე დანიშნული იყო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც დანაშაულის არსებობას არ ადასტურებდა. თუმცა, ფიზიკური მტკიცებულების არარსებობა ან ამ მტკიცებულების ვერ მოპოვება ექსპერტიზის გზით არ ნიშნავს იმას, რომ სექსუალური ძალადობა არ მომხდარა.

87 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 ივლისის წერილი N13/50123.

88 17 საქმიდან 16 საქმეზე გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ხოლო 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

89 ძირითადად, ეს არის შესაძლო მსხვერპლისა და დანაშაულის ჩამდენის მტკიცებულებები, ზოგიერთ შემთხვევაში კი - სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური ან ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები.

90 მაგალითად: შეტყობინება გაუპატიურების ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების ფაქტზე, როდესაც აღნიშნულ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია (2019 წლის 30 აპრილის დადგენილება; 2018 წლის 24 ოქტომბრის დადგენილება; 2018 წლის 25 ივლისის დადგენილება; 2017 წლის 21 ნოემბრის დადგენილება).

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი შეწყვეტილის საქმეების უმეტესობა, დადგენილებებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით,⁹¹ არ იძლეოდა სსკ-ის 137-ე მუხლის შემადგენლობას და გამოძიებას სწორედ ამ საფუძვლით შეწყდა, რიგ საქმეებში იკვეთებოდა სხვა შესაძლო გენდერული დანაშაულების ნიშნები (როგორცაა ფსიქოლოგიური ძალადობა და ადევნება), რომლებზეც დანაშაულის გადაკვალიფიცირება და გამოძიების გაგრძელება არ მომხდარა. ასეთი ფაქტების იდენტიფიცირებისას, საგამოძიებო ორგანო ვალდებულია, სსკ-ის 100-101 მუხლებზე დაყრდნობით, გადააკვალიფიციროს დანაშაული ან დაიწყოს გამოძიება ახალ დანაშაულზე.

ასევე, რიგ შემთხვევაში,⁹² სექსუალური ძალადობის დანაშაულის ნაცვლად, სექსუალური შევიწროების ფაქტები გამოიკვეთა. ვინაიდან სექსუალური შევიწროება არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, ამ საქმეებზე უნდა შეწყდეს სისხლის სამართლის გამოძიება, თუმცა, მნიშვნელოვანია, მოხდეს მსხვერპლის ინფორმირება და გადამისამართება სექსუალურ შევიწროებასთან საბრძოლველად კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებზე (სამოქალაქო სამართლებრივი, ადმინისტრაციულ სამართლებრივი და ანტიდისკრიმინაციული კანონით გათვალისწინებული მექანიზმები). ამ საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილებებიდან არ იკვეთება, რომ აღნიშნული მექანიზმების შესახებ დაზარალებულს მიეწოდა ინფორმაცია. პრობლემას ადასტურებს დაზარალებულთათვის სერვისების მიმწოდებლებისგან მოპოვებული ინფორმაციაც. მათი თქმით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შემთხვევაში, ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის არასისხლის სამართლებრივ მექანიზმებზე მსხვერპლთა გადამისამართება არ ხდება. არ ხდება ასევე მსხვერპლის ინფორმირება უფლებათა დაცვის რეგიონული და საერთაშორისო მექანიზმების თაობაზე.

გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებების ანალიზი ასევე წარმოაჩენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება) პრაქტიკაში ინტერპრეტაციის პრობლემას. აღნიშნულმა მუხლმა ცვლილება სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ განიცადა. როგორც საქმეების ფაბულებიდან ირკვევა, ზოგიერთ შემთხვევაში ამ მუხლით ისეთი დანაშაულებია დაკვალიფიცირებული, რომლებიც შემადგენლობით, დადგენილებებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლოა, გაუპატიურების ნიშნებს შეიცავდეს, ან წარმოადგენდეს სექსუალურ შევიწროებას - რაც სისხლის სამართლის დანაშაულებს არ მიეკუთვნება. მაგალითად, გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2018 წლის 13 აგვისტოს დადგენილების მიხედვით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო მოქალაქე ს.გ-ს შეტყობინება იმის თაობაზე, რომ გ.დ-მ გამოიყენა ს.გ-ს უმწეო მდგომარეობა და დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. შეტყობინების შინაარსის თანახმად, ქალმა შესაძლო გაუპატიურების ნიშნების შესახებ მიმართა სამართალდამცავ ორგანოს. დადგენილება არ ასაბუთებს, თუ რატომ დაიწყო გამოძიება არა გაუპატიურების არამედ - სისხლის სამართლის კოდექსის 138.1-ე მუხლით. გამოძიების პროცესში აღნიშნული დანაშაული სხვა მუხლზე არ გადაკვალიფიცირებულა და, საბოლოოდ, გამოძიება შეწყდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

როგორც აღინიშნა, გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებებში, რიგ შემთხვევაში, იკვეთება არა სისხლის სამართლის დანაშაული, არამედ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ძალადობის ფორმები. ამ საქმეებში გამოძიება წყდება სისხლის სამართლის დანაშაულის ფაქტზე, მაგრამ არ ხდება მსხვერპლის ინფორმირება და გადამისამართება არასისხლის სამართლებრივ

91 უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით სისხლის სამართლის საქმეებისგან, რომლებზეც განაჩენი დადგა, შეწყვეტის შესახებ დადგენილებებში გაანალიზდა მხოლოდ და მხოლოდ დადგენილებების ტექსტი და არა სისხლის სამართლის საქმის სრული მასალა.

92 2018 წლის 30 მარტის დადგენილება; 2018 წლის 31 ივლისის დადგენილება; 2018 წლის 29 სექტემბრის დადგენილება.

მექანიზმებზე (როგორცაა შემაკავებელი და დამცავი ორდერები და სერვისები ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის). მაგალითად, 2019 წლის 3 აპრილის დადგენილების თანახმად, რ.ლ-მ ნ.ტ-ს, რომელიც მის ავტომანქანაში იჯდა, შესთავაზა გაესეირნათ, რაზეც ნ.ტ-სგან უარი მიიღო. ამის მიუხედავად, რ.ლ. ავტომანქანით წავიდა სხვა მიმართულებით. აღნიშნულზე ნ.ტ. გაღიზიანდა და რ.ლ-ს სთხოვა, ავტომანქანა შეეჩერებინა. რ.ლ-მ შეაჩერა ავტომანქანა და გადააჯდა ნ.ტ-ს გვერდით, ავტომანქანის სალონის უკანა სავარძელზე და სთხოვდა მას, რომ დამშვიდებულიყო. ნ.ტ-მ უთხრა, რომ შიოდა და სახინკლეში წასულიყვნენ. რ.ლ. მივიდა რესტორანთან და ავტომანქანიდან შეკვეთის მიცემის მიზნით გადავიდა. ამ დროს ნ.ტ-მ გააჩერა სხვა ტაქსი და თავის საცხოვრებელ სახლში წავიდა. სახლთან მისულს რ.ლ. დახვდა. აღნიშნული ქმედება, დადგენილებაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არ წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, თუმცა, მსხვერპლს, გენდერული ძალადობისგან დასაცავად, შეუძლია შემაკავებელი ან დამცავი ორდერების გამოყენება.

დადგენილებების ანალიზის შედეგად ასევე ირკვევა, რომ რიგ საქმეებში, სადაც გამოძიება სსკ-ის 19-137-ე მუხლით მიმდინარეობდა, არ გამოკვეთილა აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები. იმის მიუხედავად, რომ, შესაძლოა, ქმედება შეიცავდა 139-ე მუხლით (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება) განსაზღვრულ დანაშაულს, დადგენილება არ ასაბუთებს, თუ რატომ არ გადაკვალიფიცირდა ის 139-ე მუხლზე, ან რა გაკეთდა იმისთვის, რომ 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამორიცხულიყო.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2017 წლის 31 აგვისტოს დადგენილება, რომელმაც წარმოაჩინა, თუ რა პრობლემა შეიძლება წარმოშვას პრაქტიკაში სტამბოლის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სექსუალური ძალადობის დეფინიციაში **„თანხმობის“ არარსებობის** გამო. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გაუპატიურების მცდელობის (მუხლი 19-137) მუხლით დაიწყო და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის მოტივით შეწყდა (აღნიშნულის თაობაზე იხ. ასევე თავი A). დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გ.კ. მსხვერპლს რამდენიმე საათის განმავლობაში ეფერებოდა და ეხებოდა მისი სხეულის სხვადასხვა ნაწილს. დ.დ. ტირილითა და ხმამაღალი ტონით სთხოვდა გ.კ-ს, რომ გაჩერებულიყო და ოთახიდან გასულიყო. დადგენილების თანახმად, აღნიშნული გამოძიებამ დაადასტურა საქმეზე მოწმის სახით გამოკითხული გ.კ-ს, ნ.გ-სა და გ.ა-ს ჩვენებებით, ლომბარდში არსებული ვიდეოჩანანერის დათვალიერებითა და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით. მიუხედავად თანხმობის არარსებობის ფაქტის დადასტურებისა, პროკურორმა დანაშაულის ნიშნები არ დაადგინა, რადგან დაასკვნა, რომ არ არსებობდა არცერთი მუხლით (მათ შორის, არც სსკ-ის 19-139-ე, 150-ე და 143-ე მუხლებით) განსაზღვრული შემადგენლობა, ამასთან, მსხვერპლს „ფიზიკური ზიანი არ მისდგომია“, „ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა“, „ყვირილი არ აუტეხავს და საშველად არავისთვის მოუხმია“.⁹³

დადებით ტენდენციას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ შემთხვევებში დანაშაულის განმცხადებლების მიმართ შესაძლო ცრუ დასმენის ფაქტზე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან გამოძიება არ დაწყებულა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოსხვნილი ინფორმაციის⁹⁴ თანახმად, 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლით 18 წელს მიღწეული ქალის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

93 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება, 31.08.2017, N0072 50817004.

94 საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი N13/83867 29/11/2019. ამავე წერილით გვეცნობა, რომ გენერალური პროკურატურა სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას, თუ რა დანაშაულებზე განხორციელდა ცრუ დასმენის ფაქტები, არ აწარმოებს. ასევე გვეცნობა, რომ არ აწარმოებენ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას ტრანსგენდერი ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.

4. შეუსაბამოდ მკაცრი მოთხოვნები სექსუალური ძალადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან მიმართებით

4.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად მტკიცებულებების არასათანადოდ მკაცრი მოთხოვნები ქალებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს. CEDAW-ს კომიტეტის თანახმად, უნდა გადაისინჯოს მტკიცებულების წარდგენის შესახებ არსებული წესები და მათი პრაქტიკაში განხორციელება, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან მიმართებით, ხოლო სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მტკიცებულებითი მოთხოვნები არ იყოს ზედმეტად მოუქნელი, შემზღვეველი ან გენდერული სტერეოტიპებით ნაკარნახევი.⁹⁵

CEDAW-ს კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა „გადასინჯონ მტკიცების ტვირთის შესახებ არსებული დებულებები, რათა უზრუნველყონ მხარეებს შორის თანასწორობა ყველა სფეროში, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები ქალებს ართმევს შესაძლებლობას, მათი საქმე სამართლიანად გადაწყდეს“⁹⁶ ამასთანავე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინები ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ მსხვერპლის მიერ სექსუალური ძალადობის შესახებ მიცემული ჩვენების მტკიცებულებითი დადასტურების (corroboration) მოთხოვნა.⁹⁷

მტკიცებულებასთან დაკავშირებულ წესებს, შესაძლოა, ჰქონდეს როგორც *de jure* ისე *de facto* დისკრიმინაციული გავლენა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. სტამბოლის კონვენცია, მაგალითად, განამტკიცებს, რომ „მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და აუცილებელია“ (მუხლი 54). ICC-ის მტკიცებულებისა და პროცედურის წესები ასევე განსაზღვრავს, რომ „მსხვერპლის ან მოწმის სანდოობა, პიროვნება ან მიდრეკილება სექსუალური ხელმისაწვდომობისადმი ვერ ჩაითვლება მსხვერპლის ან მოწმის წარსული ან შემდგომი ქმედების ბუნების განმსაზღვრელად“⁹⁸

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი ასევე მიუთითებს, რომ „აღნიშნული დანაშაულის გამოძიება მოითხოვს მტკიცებულებების შეფასებას კონტექსტის გათვალისწინებით იმისთვის, რომ თითოეულ შემთხვევაში დადასტურდეს, მსხვერპლის თავისუფალი თანხმობით განხორციელდა თუ არა სქესობრივი აქტი. ამგვარი შეფასების ფარგლებში უნდა მოხდეს აღიარება, რომ მსხვერპლები სექსუალურ ძალადობასა და გაუპატიურებაზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ და [მსჯელობა] არ უნდა დაეყრდნოს ტიპური ქცევის არსებობას ამგვარ სიტუაციებში“⁹⁹

ამასთანავე, საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებული პრინციპია, რომ მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს ერთი მოწმის/მსხვერპლის მტკიცებულებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მტკიცებულების გამყარების მოთხოვნის გარეშე,¹⁰⁰ მიუხედავად იმისა, რომ გამამყარებელი მტკიცებულება ღირებულია სისხლისსამართლებრივი დევნის დროს და ამგვარი მტკიცებულებების შეგროვება თითქმის ყოველთვის არის შესაძლებელი, თუ სრულყოფილი გამოძიების ჩატარება მოხდება.

95 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, აბზაცი 51(თ).

96 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, აბზაცი 15(ზ).

97 Handbook for Legislation on Violence against Women, UN Women.

98 საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდება, წესი 70 (დ).

99 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 192.

100 იხ. იუგოსლავიის ტრიბუნალის პრეცედენტული სამართალი: Haradinaj et al., Appeal Judgment, paras. 145, 219; Tadic, Appeal Judgment, para. 65; Bagilishema, Appeal Judgment, para. 79; Dragomir Milosevic, Appeal Judgment, para. 215; Kupreskic, Appeal Judgment, para. 220; Lukic & Lukic, Appeal Judgment, para. 375.

4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მტკიცებულებას აჩვენებს წინასწარ დადგენილი ძალა (სსსკ-ის მუხლი 82.2) და იგი უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი ხედვანტულობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვადგახისით (სსსკ-ის მუხლი 82.1). გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა ახსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ეხთობრიობა (სსსკ-ის მუხლი 82.3).

სისხლის სამართლის, მათ შორის სექსუალური ძალადობის, საქმეებზე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ე.წ. სავალდებულო მტკიცებულებებს - პროკურორი თავად წყვეტს, რა სახის მტკიცებულებებია რელევანტური საქმისთვის. აღნიშნულთან მიმართებით კანონმდებლობა შეესაბამება ადამიანის უფლებათა მოქმედ სტანდარტებს. თუმცა, კანონმდებლობა ასევე არ ადგენს დაუშვებელ მტკიცებულებებს, რასაც განსაზღვრავს სტამბოლის კონვენცია და ზემოთ განხილული სტანდარტები.

პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში განხილული საქმეები მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების ორგანოები სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად **მტკიცებულებებთან დაკავშირებით ზედმეტად მკაცრ მოთხოვნებს** იყენებენ, რაც სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმის დაუსჯელობას იწვევს. კერძოდ, ამგვარ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და გამამტყუნებელი განაჩენების გამოტანა, ძირითადად, მხოლოდ იმ შემთხვევებში ხდება, როდესაც მსხვერპლის სხეულზე არსებობს ძალადობრივი სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ფიზიკური დაზიანებები და სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მასალა. **აღნიშნული პრაქტიკა უკიდურესად ზღუდავს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულების** (სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლები) **დასჯის შესაძლებლობას** და სექსუალური ძალადობის დანაშაულებს ავიწროებს სსკ-ის 137-ე მუხლის მხოლოდ ერთ ელემენტამდე - დანაშაულის ჩადენა ძალადობის გამოყენებით. ამგვარი პრაქტიკა შეუსაბამოა ადამიანის უფლებათა ზემოთ განხილულ სტანდარტებთან, რომლის თანახმადაც გაუპატიურების ჩადენისთვის ფიზიკური ძალის გამოყენება და ფიზიკური დაზიანებების შესახებ მტკიცებულებების არსებობა არ არის აუცილებელი,¹⁰¹ რომ მტკიცებულებითი სტანდარტები არ უნდა იყოს ზედმეტად შემზღვეველი და ხისტი და მტკიცებულებათა გამყარება არ უნდა იყოს განმსაზღვრელი სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.¹⁰²

კვლევის ფარგლებში განხილულ საქმეებში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო და, შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენები, ძირითადად, ისეთ საქმეებზე დადგა, სადაც დაზარალებულის სხეულზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ადასტურებდა სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ძალადობის კვალს და დამნაშავის ბიოლოგიურ მასალას (იხ. დანართი N2). მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ექსპერტიზის დასკვნას, როგორც სავალდებულო მტკიცებულებას, იმ შემთხვევებში, როდესაც ამგვარი დასკვნა და მტკიცებულებები არ მოიპოვება, სისხლისსამართლებრივი დევნა, უმეტესწილად, არ იწყება (იხ. დანართი N2) ან, შესაძლოა, დევნა დაიწყო, მაგრამ საქმეზე დადგეს გამამართლებელი განაჩენი. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში,¹⁰³ ძირითადი საფუძველი, რის გამოც 137-ე მუხლის ფარგლებში გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგა, იყო ის, რომ ექსპერტიზამ არ დაადგინა მექანიკური დაზიანებები დაზარალებულის საშოში (გამამტყუნებელი განაჩენი დადგა მხოლოდ სსკ-ის 126-ე მუხლზე დაყრდნობით, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას ითვალისწინებს).

101 იხ. თავი 1.2.1

102 იხ. თავი 4.1.

103 თბილისის საქალაქო სასამართლო, N4750-18.

ერთ-ერთ საქმეში ასევე გამოიკვეთა, რომ დაზარალებულს მრავლობითი ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა და აცხადებდა, რომ ბრალდებულმა მასთან ძალადობის გამოყენებით დაამყარა და დაასრულა სქესობრივი აქტი. ამავე საქმეში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით იკვეთებოდა საქალწულე აპკის დაზიანება, თუმცა მისი მთლიანობა არ იყო დარღვეული. ამის მიუხედავად, გამოძიება დაიწყო, როგორც გაუპატიურების მცდელობა (ნაცვლად გაუპატიურებისა) და დასრულდა ამავე კვალიფიკაციით,¹⁰⁴ მიუხედავად საქმეში არსებული მტკიცებულებებისა, რომლებიც არა მცდელობაზე, არამედ გაუპატიურების ფაქტზე მიუთითებდა. ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „საქალწულე აპკის მთლიანობა არ არის დარღვეული, თუმცა საქალწულე აპკის დაჭიმვისას ნასკდომიდან მოჟონავს მცირე რაოდენობით სისხლი“, ასევე მითითებულია, რომ დაზარალებულს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები. ამგვარი დასკვნების გაკეთება საქალწულე აპკის კონდიციის შესახებ არღვევს ქალების და გოგოების უფლებებს და არ აქვს სამეცნიერო ან კლინიკური საფუძველი სქესობრივი კავშირის ან გაუპატიურების დასადგენად¹⁰⁵ (იხ. ქვემოთ თავი მე-5 ქალწულობის ტესტირებისა და მეორეული ვიქტიმიზაციის შესახებ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს). ამასთანავე, სრული პენეტრაცია არ არის საჭირო იმისათვის, რომ გაუპატიურება ან პენეტრაციის ფაქტი დადგინდეს. მცირედი პენეტრაცია უკვე გაუპატიურებას წარმოადგენს.¹⁰⁶

5. გენდერული სტერეოტიპები და მეორეული ვიქტიმიზაციისგან მსხვერპლის დაცვის პრობლემები

5.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საქმეებზე არ უნდა მოხდეს მსხვერპლისთვის დამაზიანებელი გენდერული სტერეოტიპების გამოყენება და მისი მეორეული ვიქტიმიზაცია მართლმსაჯულების პროცესებში. გენდერულმა სტერეოტიპებმა მართლმსაჯულების პროცესებში, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი ქალების მიერ მართლმსაჯულებაზე წვდომას სასამართლო პროცესამდე, პროცესის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში.¹⁰⁷

CEDAW-ს კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამართალდამცავ ორგანოებზე ხშირად ზეგავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები, განსაკუთრებით, გენდერული ძალადობის საქმეებში.¹⁰⁸ მართლმსაჯულებაზე ქალების წვდომის ხარისხზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სისხლის სამართლის სისტემის მიერ ქალების განმეორებითი ვიქტიმიზაცია.¹⁰⁹ შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, მიიღონ „ეფექტიანი ზომები იმისთვის, რომ დაიცვან ქალები განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან სამართალდამცავ ორგანოებსა და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დროს“¹¹⁰ ამისთვის, CEDAW-ს თანახმად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა გამოიყენონ „კონფიდენციალური და გენდერულად სენსიტიური მიდგომა“ დაკითხვის, მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დროს.¹¹¹

104 რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-559-17.

105 See the UN Inter-agency Statement on Eliminating Virginity Testing, available at: <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/275451/WHO-RHR-18.15-eng.pdf?ua=1>

106 See e.g. Kunarac et al., Appeal Judgment, IT-96-23 & IT-96-23/1-A, para. 127

107 nb. Roadblocks to Justice report, Equality Now, 2019.

108 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, § 27.

109 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, §17 და 18.

110 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, § 51 (გ).

111 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, § 51 (ზ).

ზემოხსენებულ პრინციპებს განამტკიცებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში *Y v. Slovenia*, სადაც სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ტანჯვასა და დამცირებას, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა განიცადა სასამართლოში საქმის განხილვის დროს. სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის (მე-8 მუხლი) დარღვევა და განაცხადა, რომ „ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გამოიყენებოდეს მოწმის შესაშინებლად ან დასამცირებლად.“¹¹²

სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი ასევე მიუთითებს, რომ „გაუპატიურების განმსაზღვრელი კანონმდებლობის განმარტებასა და გაუპატიურების შემთხვევათა სისხლისსამართლებრივ დევნაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს გენდერული სტერეოტიპები, ასევე, მითები მამრობითი და მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა სექსუალობის შესახებ.“¹¹³

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მსხვერპლის „მორალური მხარის“ და სექსუალური ცხოვრების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენა სასამართლოში და, მათზე დაყრდნობით, დანაშაულის გამორიცხვა ან დამნაშავისთვის სასჯელის შემსუბუქება. სტამბოლის კონვენციის თანახმად, ასეთი მტკიცებულება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი და მართებულია.¹¹⁴ სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, „სასამართლო განხილვისას, დაზარალებულის მიერ მის სექსუალურ ქცევასა და ცხოვრების წესთან დაკავშირებით წარმოდგენილი მტკიცებულებები ზოგჯერ ბოროტად გამოიყენება მისი ჩვენებების დისკრედიტაციისთვის. დაცვის მხარე დაზარალებულის წინარე სექსუალურ ქცევას ზოგჯერ მტკიცებულებად იყენებს, რათა ეჭვის ქვეშ დააყენოს მისი რესპექტაბელურობა, სანდოობა და ის, რომ მსხვერპლს თანხმობა არ მიუცია. განსაკუთრებით, ეს ეხება სექსუალური ძალადობის შემთხვევებს, მათ შორის, გაუპატიურებას. ამგვარი მტკიცებულებების წარდგენამ შეიძლება გაამყაროს საზიანო სტერეოტიპები, რომ მსხვერპლი თვითონ არ არის პატიოსანი, მორალური და არ იმსახურებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დაცვას. ამან შეიძლება გამოიწვიოს დე ფაქტო უთანასწორობა, ვინაიდან დაზარალებულები, რომლებიც უმეტესწილად ქალები არიან, უფრო ადვილად იღებენ კანონით გათვალისწინებულ დაცვას, თუკი პატიოსან ქალებად ითვლებიან.“¹¹⁵

ამასთანავე, განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ „მსხვერპლის წარსული სექსუალური ქცევა არ უნდა განიხილებოდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აქტების გასამართლებლად, რის შედეგადაც, დამნაშავე შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, ან უფრო მსუბუქი სასჯელი დაეკისროს.“¹¹⁶ ამასთანავე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ ძალადობის მსხვერპლი ქალის წინარე სექსუალური ცხოვრების, როგორც მტკიცებულების, გამოყენება სექსუალური ძალადობის შესახებ საქმის წარმოების დროს.¹¹⁷

სექსუალური ძალადობის საქმეებში სტერეოტიპების გამოყენების თაობაზე განსაკუთრებით საინტერესოა საქმე *Karen Tayag Vertido v. The Philippines*, სადაც CEDAW-ს კომიტეტმა დაადგინა, რომ მომჩივანს სახელმწიფომ უარი უთხრა დაცვის ეფექტიან საშუალებაზე, ნაწილობრივ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ის ენდერულ სტერეოტიპებსა და მითებს ეყრდნობოდა.¹¹⁸ მოსამართლემ, რომელმაც ბრალდებული გაამართლა, დაადგინა, რომ მსხვერპლი გონზე მოსვლის შემდეგ და

112 ი.ვ. სლოვენის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2015 წლის 28 მაისი, 108.

113 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, §192.

114 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54.

115 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 277.

116 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 278.

117 Handbook for Legislation on Violence against Women, UN Women, 2012.

118 Karen Tayag Vertido v. The Philippines, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010.

გაუპატიურების პროცესში ბრალდებულს უნდა შენინაალმდეგებოდა. CEDAW-ს კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა:

სტერეოტიპები გავლენას ახდენს ქაღთა სამაჰთღიანი სასამაჰთღოს უფღებაზე, ხოღო სასამაჰთღომ სიფჰთხიღე უნღა გამოიჩინოს, ჰათა აჰ შექმნას ხისღი სღანღაჰღები იმის შესახებ, თუ ჰოგოჰები უნღა იყვნენ ქაღები ან გოგოები ან ჰოგოჰი უნღა მოქცეუღიყვნენ ისინი გაუპაღიუღების შემთხვევაში, ჰაც ეფუღნება მხოღოღ წინასწაჰი შექმნიღ აზჰებს გაუპაღიუღების ან გენღეჰუღი ნიშნით ძაღაღობის მსხვეჰპღთან მიმაჰთებით.¹¹⁹

კომიტეტის დასკვნით, მომჩივანმა განიცადა „ხელახალი ვიქტიმიზაცია იმ სტერეოტიპებისა და გენღერული მითების შეღეგაღ, რომღებსაც სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ეყრღნობოღა.“¹²⁰

სტერეოტიპებმა შეიღღება გავღენა მოახღინოს მოსამართლის გადაწყვეტილებაზე, თუ იგი მათზე დაყრღნობით მოახღენს კანონის და საქმის ფაქტობრივი გარემოებების ინტერპრეტაციას. მოსამართღემ, შესაღღოა, ხელი შეუწყოს სტერეოტიპების გამყარებას იმ შემთხვევაშიც, თუ არ შეცვლის ქვეღა ინსტანციის მიერ სტერეოტიპებზე დაყრღნობით მიღებულ გადაწყვეტილებას. სასამართლო განხიღვის ეტაპზე მოქმეღმა სტერეოტიპებმა, შესაღღოა:

- ხელი შეუშაღოს მოსამართღეს, სწორაღ აღიქვას ძაღაღობის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები;
- გავღენა მოახღინოს მოსამართლის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ბუნების აღქმაზე;
- გავღენა იქონიოს მოსამართლის ხეღვაზე დანაშაულის მსხვერპლის მიერ განცდიღ ზიანთან მიმართებით;
- გავღენა მოახღინოს მოსამართლის აღქმაზე ბრალღებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით;
- იმოქმეღოს მოსამართლის მოსაზრებაზე მოწმის სანღობასთან დაკავშირებით;
- გამოიწვიოს მოსამართლის მიერ არარეღეგანტური ან უაღრესაღ მიკერძოებული მტკიცებუღების დაშვება და/ან გავღენა მოახღინოს იმაზე, თუ რა მნიშვნეღობას ანიჭებს მოსამართღე კონკრეტულ მტკიცებუღებას;
- შეაფერხოს დაზარაღებულის გარკვეული უფღებების რეალიზება;
- გავღენა მოახღინოს ინსტრუქციებზე, რომღებსაც მოსამართღე აღღევს ნაფიც მსაჯუღებს;
- გამოიწვიოს მოსამართლის მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია ან გამოყენება;
- გავღენა მოახღინოს საბოღოო სამართლებრივ შეღეგებე.¹²¹

მოსამართღეებისა და აღვოკატების დამოუკიღებღობის შესახებ გაეროს სპეციღლური მომხსენებელი სექსუღლურ ძაღაღობასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ გენღერული სტერეოტიპები მართღმსაჯუღების პროცესში, შესაღღოა, იყოს შემღეგი წარმოღგენები:

- ფიზიკური ძაღაღობის მტკიცებუღება აუციღებელია თანხმობის არარსებობის დასადასტურებღად;
- ქაღები ხშირაღ ცრუობენ და, შესაბამისაღ, მტკიცებუღება მხოღოღ მაშინ უნღა იყოს მიღებული, თუ იგი დადასტურებელია სხვა მტკიცებუღებით;
- თუ ქაღი არის ჩუმაღ, შეიღღება ჩაითვღლოს, რომ იგი თანახმაა;

119 Karen Tayag Vertido v. The Philippines, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.4.

120 Karen Tayag Vertido v. The Philippines, CEDAW/C/46/D/18/2008, 2010, პ. 8.8.

121 *nb.* OHCHR, Eliminating judicial stereotyping: Equal access to justice for women in gender-based violence cases, 2014, გვ. 20, 22.

- ქალის წარსულ სექსუალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქალი სექსუალურად ხელმისაწვდომია ან ავტომატურად თანახმაა სექსზე;
- სექსუალური ძალადობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება ქალს ან ქალი ინვესტს სექსუალურ ძალადობას გარეთ გვიან ყოფნით, იზოლირებულ ადგილას განმარტობით ან ჩაცმულობით;
- შეუძლებელია სექსმუშაკის გაუპატიურება;
- გაუპატიურების მსხვერპლი ქალები არიან ღირსებაშელახლანი ან შერცხვენილი, ან ისინი თავად არიან დამნაშავეები და არა - მსხვერპლები.¹²²

მსხვერპლის დაცვის პროცედურები

საგამოძიებო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის დაცვა არასაჭირო და ინტრუზიული საგამოძიებო მოქმედებებისგან. სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს სხეულზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ უნდა ჩაუტარდეთ მათი ინფორმირებული თანხმობის გარეშე და შეიძლება არ ჩაუტარდეთ იმ შემთხვევაში, როდესაც სერიოზული ფიზიკური დაზიანებები არ აღენიშნებათ, ან როცა ექსპერტიზის ჩატარებას არ შეუძლია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადასტურება.¹²³

მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დასაცავად მნიშვნელოვანია მისი უსაფრთხოების დაცვა და რისკების შეფასება, რომლის წინაშეც დაზარალებულები დგანან სექსუალური ძალადობის საქმეებში.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სასამართლოში დაცვის ზომები, რათა თავიდან აიცილონ სხდომის დარბაზში მოძალადესთან პირისპირ შეხვედრა და შესაძლო ხელახალი ტრავმა. დაცვის ზომები, შესაძლოა, იყოს ცალკე მოსაცდელი ოთახები, ეკრანის გამოყენება, მოსმენების გამართვა მოსამართლის კაბინეტში, წინასასამართლო ეტაპზე მიცემული ჩვენების აუდიო-ვიზუალური ჩანაწერების გამოყენება მტკიცებულების სახით და ჩვენების მიცემა ვიდეოტექნოლოგიების გამოყენებით. მსხვერპლის ან მოწმის საფრთხისგან დასაცავად, ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ სანქციების გამოყენება და გასაჩივრების მექანიზმების ხელმისაწვდომობა.¹²⁴

გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობის მსხვერპლებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება აქვთ, რაც, შესაძლოა, ითვალისწინებდეს სასამართლო დარბაზის დახურვას მედიაწარმომადგენლებისთვის და პროცესის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვას საზოგადოებისთვის. სასამართლოსა და სასამართლოს გარეთ დაცვის უზრუნველყოფა საჭიროებს არსებული რისკების შეფასებას და მართვას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან სამართალწარმოების თითოეულ ეტაპზე. საქმის მასალებიდან უნდა ჩანდეს, რომ პროცესის ყველა ეტაპზე ეს რისკები შეფასდა და მათი მართვა მოხდა.¹²⁵

მოსამართლეებს, ასევე, გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილება, სასამართლო პროცედურები მოარგონ მსხვერპლისა ან მოწმის სპეციფიკურ შესაძლებლობებსა თუ საჭიროებებს. მაგალითად:

122 Human Rights Council, Interim report of the Special Rapporteur on the independence of judges and lawyers, A/66/289, 2011, გვ. 48.

123 UNODC Handbook on Effective Prosecution and Responses to Violence against Women and Girls, გვ. 108-109.

124 UNODC, Good practices for the protection of witnesses in criminal proceedings involving organized crime, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.unodc.org/documents/middleeastandnorthafrica/organised-crime/Good_Practices_for_the_Protection_of_Witnesses_in_Criminal_Proceedings_Involving_Organized_Crime.pdf.

125 იხ. UNODC, Good practices for the protection of witnesses in criminal proceedings involving organized crime, გვ. 32-33.

1. კითხვაში ცვლილებების შეტანა, ხათა ამოღებული იყოს ახასაჭიხო, პიხადი ცხოვრების ხედშეუხებლობის უფლების შემზღუდავი, განშეოხებითი ან უხეხუდი კითხვები;
2. ჩვენების მიცემის დიოს ხშიი შესვენების შესადებლობა;
3. სასამართლოს დახბაზში გახემოს შეცვდა, ხათა იგი გახდეს ნაკებად ფოხმადუი;
4. სასამართლოს დახბაზში მხაქამჭეი პიხის ყოფნა, ხომეიც მსხვერპლის ან მოწმის გვეხით დაჯება.¹²⁶

სასამართლოს ეტაპზე საქმის განხილვის დროს სტერეოტიპების გამოყენება, შესადლოა, გამოიხატებოდეს სხდომათა დარბაზში მოსამართლის მიერ გაკეთებულ კომენტარებში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან მოსამართლის არასათანადო რეაგირებაში მხარეების ან დამსწრე საზოგადოების მხრიდან გამოთქმულ კომენტარებზე.¹²⁷

5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გენდერული სტერეოტიპების გამოყენების აკრძალვას პროკურორებთან, დაცვის მხარის ადვოკატებსა და მოსამართლეებთან მიმართებით. ამასთან, სპეციალურად არ განსაზღვრავს მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის გარანტიებს სასამართლო დარბაზში, მათ შორის, მსხვერპლის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვისა და სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.¹²⁸

სსსკ ითვალისწინებს პროცესის მონაწილე პირებისთვის დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებას.¹²⁹ ამის უფლებამოსილება სახელმწიფო ბრალდების მხარეს გააჩნია და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ: საქმის საჯარო განხილვა ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას; პროცესის მონაწილის ვინაობის გასაჯაროებისას საფრთხე დაემუქრება მისი ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას; პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე.¹³⁰ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ძალადობის საქმეებში დაზარალებულთა, განსაკუთრებით კი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სპეციალურ ღონისძიებებს. საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობის თანახმად, მათზე უნდა გავრცელდეს ზოგადი წესები.

პრაქტიკა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სისხლის სამართლის საქმეების მასალებმა ცხადყო, რომ სექსუალური ძალადობის საქმეთა უმეტესობაში (24 საქმიდან 22 შემთხვევა, გარდა იმ საქმეებისა, სადაც გამოძიება შეწყდა) გამოიყენება სხვადასხვა სტერეოტიპული მიდგომა

¹²⁶ იხ. ზემოთ, UNODC, Good practices for the protection of witnesses in criminal proceedings involving organized crime, გვ. 32-33.

¹²⁷ ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4189-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18.

¹²⁸ სსსკ, მუხლი 25.2.

¹²⁹ სსსკ, მუხლი 68.

¹³⁰ სსსკ, მუხლი 67.

ან მსხვერპლისთვის დამაზიანებელი გენდერული ცრურწმენები როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის დროს. მსგავსი მიდგომები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს გენდერულ სტერეოტიპებთან მიმართებით (იხ. თავი 5.1 ზემოთ), არ არის რელევანტური ჩადენილი დანაშაულისთვის, ხელს უწყობს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას და აფერხებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

კერძოდ, საქმის მასალების მიხედვით, გამოძიებლები დაზარალებულს უსვამენ **საქმისთვის არარელევანტურ და გენდერულად არასენსიტიურ კითხვებს**, რაც ხელს უწყობს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. მაგალითად, დაზარალებულებს ეკითხებოდნენ, იყო თუ არა ეს მათთვის პირველი სქესობრივი აქტი,¹³¹ განიცდიდნენ თუ არა სიამოვნებას სქესობრივი აქტის დროს.¹³² ასევე, მოწმეებს ეკითხებოდნენ დაზარალებულის პიროვნების შესახებ, კერძოდ, აპყავდა თუ არა მას ბიჭები სახლში. დაკითხვისას ასევე გამახვილებულია ყურადღება მსხვერპლის ჩაცმულობაზე¹³³ - ამგვარი კითხვები მხოლოდ მსხვერპლის „მორალური მხარის“ გამოკვლევას ემსახურება, რაც არ უკავშირდება ჩადენილ დანაშაულს.

შესწავლილი საქმეების მასალებიდან ასევე იკვეთება, რომ დაზარალებულებს გამოძიების ფარგლებში უწევდათ **ტრავმული გამოცდილების შესახებ ერთი და იმავე ინფორმაციის რამდენიმეჯერ გამოვლენა**. ზოგიერთ საქმეში დაზარალებულები არაერთხელ დაკითხეს (მინიმუმ - ორჯერ, მაქსიმუმ - ოთხჯერ) და არცერთ შემთხვევაში გამოძიებისთვის ახალი ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.¹³⁴ მსხვერპლებს ხელახლა უწევდათ ძალადობის ისტორიის გახსენება, რაც, შესაძლოა, იწვევდეს მათ განმეორებით ტრავმირებას (მეორეულ ვიქტიმიზაციას), მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც გამოძიებლების მხრიდან ტრავმისგან დაზარალებულთა დაცვის არავითარი მექანიზმი ან ტაქტიკა არ გამოიყენება.

დევნის შეწყვეტის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული დადგენილებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ორ საქმეში ყურადღება იყო გამახვილებული იმ სექსუალურ ურთიერთობებზე, რომლებიც დაზარალებულებს ჰქონდათ დანაშაულის ჩადენამდე სხვა პირებთან.¹³⁵ აღნიშნულს არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმ დანაშაულთან, რომელზეც გამოძიება მიმდინარეობდა ან იმ პირთან, რომლის სავარაუდო ქმედებების გამოკვლევაც ხდებოდა. ასევე, ორ საქმეში პროკურატურამ ყურადღება გაამახვილა დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე (ფსიქიკური აშლილობა;¹³⁶ ეპილეფსია¹³⁷), მაშინ, როცა საქმის მასალებიდან არ იკვეთება, თუ რა კავშირი ჰქონდა აღნიშნულის გამოკვლევას ძალადობის ფაქტის დადგენასთან.

რამდენიმე საქმეში ასევე იკვეთება სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა ადვოკატების მხრიდან დამაზიანებელი და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება დაზარალებულების მიმართ.¹³⁸ ადვოკატები ყურადღებას ამახვილებენ დაზარალებულის წარსულ სექსუალურ ცხოვრებაზე, უსვამენ მას კითხვებს, რომლებიც **კავშირში არ არის ჩადენილ დანაშაულთან, ემსახურება დაზარალებულის დისკრედიტაციას, ღირსების შელახვას და მისი სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებას**, კერძოდ, მსხვერპლი ხასიათდება, როგორც „ცბიერი“¹³⁹ მაგალითად, დაზარალებულებს უსვამენ კითხვებს, როგორიცაა:

131 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4189-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18.
132 ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე N1/81-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N2840-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N3268-17.
133 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N4621-17.
134 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N5832-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4123-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4873-18; ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე N1/81-18; ახალციხის რაიონული სასამართლო, საქმე N1/080-18; ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/658-17.
135 დოკუმენტის N0012798251; დოკუმენტის N006190618002.
136 დოკუმენტის N0011771318.
137 დოკუმენტის N0010477160.
138 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4189-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18.
139 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18.

„როგორ იგრძენი, რომ ბრალდებულმა დაასრულა აქტი და განიცადა ორგაზმი?“¹⁴⁰ „გყავს თუ არა პარტნიორი?“¹⁴¹ რატომ დაშორდი ქმარს?“¹⁴² „რამდენად ინტენსიური სექსი გქონდათ მეუღლესთან?“¹⁴³ „ფრიგიდული ხომ არ ხართ?“¹⁴⁴ „რამდენად ახალგაზრდა მეგობარი მამაკაცი გყავთ?“¹⁴⁵ „ხართ თუ არა ქალიშვილი?“¹⁴⁶ „რამდენად მამაკაცური იყო მეუღლე?“¹⁴⁷

ზემოხსენებული ფაქტების გარდა, ერთ-ერთ საქმეში იკვეთება ბრალდებულის ადვოკატის ცინიკური დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი. კერძოდ, ის თავის შესავალ სიტყვაში ამბობს, რომ „დღეს ყველა დანაშაული იფუთება გენდერული თანასწორობის ჩარჩოში, რითაც ირღვევა ბრალდებულის უფლებები და უპირატესობა ენიჭება ყველა შემთხვევაში დაზარალებულს“¹⁴⁸

როგორც ზემოთ აღინიშნა, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე მხარეები ან პროცესზე დამსწრე პირები გენდერული სტერეოტიპების შემცველ შეფასებებს აკეთებენ, მოსამართლეს ეკისრება მათი აღმოფხვრის პასუხისმგებლობა. თუმცა, შესწავლილი საქმეების ანალიზიდან ირკვევა, რომ მოსამართლეები ან საერთოდ არ ამახვილებდნენ ყურადღებას მსგავსი სახის შეფასებებზე, ან შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით, რომ მსგავსი მიმართებებისგან თავი შეეკავებინათ.¹⁴⁹

განსაკუთრებით მრავლობითი სტერეოტიპული და მსხვერპლის ღირსების შემლახველი მიდგომები გამოიკვეთა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ მოწოდებულ საქმის მასალებში.¹⁵⁰ აღსანიშნავია, რომ შესწავლილი საქმეებიდან, მხოლოდ ორ დაზარალებულს ჰყავდა ადვოკატი,¹⁵¹ თუმცა ადვოკატებს არსებითი გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ გამოძიების პროცესსა და სასამართლო განხილვაზე. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, მსხვერპლებს დამოუკიდებლად უწევდათ საკუთარი უფლებებისა და სტერეოტიპული მიდგომებისგან თავის დაცვა.

ასევე, სასამართლო პროცესებზე მსხვერპლები ბრალდებულებს ყველა შემთხვევაში პირისპირ ხვდებოდნენ და ხშირად თვითონ ბრალდებულებიც უსვამდნენ მათ კითხვებს, რაც იწვევდა მსხვერპლთა დაბნეულობას, გაღიზიანებასა და დისკომფორტს. ბრალდებულები დაზარალებულებს გამომცდელ კითხვებს უსვამდნენ: ეს ხომ ასე იყო? მე შენ რა გითხარი? ეს ასე არ ყოფილა?¹⁵² საქმეების გაცნობის შედეგად, დადგინდა, რომ არ ყოფილა მიღებული რამე ზომა სასამართლო პროცესზე დაზარალებულისა და ბრალდებულის ერთმანეთთან დაპირისპირების აღსაკვეთად. აღნიშნულ ფაქტებზე არც მოსამართლეს და არც ბრალდების მხარეს ბრალდებულისთვის შენიშვნა არ მიუციათ და არც რამე სახის რეაგირება მოუხდენიათ დაზარალებულის ტრავმირების თავიდან ასაცილებლად.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ საქმეებზე დაყრდნობით, ასევე ირკვევა, რომ ბრალდების მხარეს სექსუალური ძალადობის არცერთ საქმეზე დაცვის სპეციალური ღონისძიება მსხვერპლის მიმართ არ გამოუყენებია. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, შეფასდა თუ არა ამგვარი ღონისძიებების გამოყენების საჭიროება და რა ზომების მიღება მოხდა საჭიროების შესაფასებლად.

140 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
141 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4189-18.
142 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
143 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
144 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
145 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
146 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3206-18.
147 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
148 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/658-17.
149 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
150 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/536-18.
151 თელავის რაიონული სასამართლო, საქმე N1/286-18; მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N N 1/223-18.
152 მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/223-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4123; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/3824-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/297-18.

პრობლემად გამოიკვეთა ასევე სექსუალური ძალადობის ჩადენაში ბრალდებული პირისთვის აღკვეთის **ღონისძიების სახით პატიმრობის არგამოყენება**, როდესაც საქმის მასალების მიხედვით, ცხადი იყო, რომ პირს დაზარალებულს ან სხვა პირებზე ზემოქმედების მოხდენა შეეძლო. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, ბრალდებულმა ძალადობის გამოყენებით ს-სთან დაამყარა ორალური აქტი, რის შემდეგაც აიძულა, გაეხადა შორტი და საცვალი და ძალადობით, მისი ნების სანინააღმდეგოდ, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ პირის ღრუსა და უკანა ტანის მიდამოში მექანიკური დაზიანებები არ დაადგინა. დაზარალებულის შორტზე აღმოჩნდა ბრალდებულის ბიოლოგიური მასალა. სასამართლომ არ გაითვალისწინა პროკურატურის მოთხოვნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ და ბრალდებულს შეუფარდა 100 000 ლარიანი გირაო.¹⁵³

მართლმსაჯულების პროცესების პარალელურად, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის სერვისის მიწოდების კუთხით მნიშვნელოვანი როლი აკისრია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მიზანი სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაცია და დახმარებაა.¹⁵⁴ სახელმწიფო ფონდში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები დამატებით სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით. სხვა მხრივ, ისინი იღებენ იმავე სერვისებს, რასაც ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლები და სპეციფიკურად მათთვის რამე დამატებითი შეთავაზება სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არ არსებობს.¹⁵⁵

მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების პროცესში

პრაქტიკის თანახმად, გამოძიების ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც დანაშაულის ჩადენას ადასტურებს, **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაა**.

ფოკუსჯგუფებმა და სისხლის სამართლის საქმის მასალებმა გამოკვეთა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლისთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის გავლა ხშირად **ტრავმული პროცედურაა**. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებისას, რიგ შემთხვევაში, აწყდებიან არასენსიტიურ, ღირსების შემლახველ და გენდერულ სტერეოტიპებზე დამყარებულ მიდგომას, რაც აზიანებს მათ მონაწილეობას მართლმსაჯულების პროცესში და ახდენს მსხვერპლის მეორეულ ვიქტიმიზაციას. მაგალითად, ფოკუსჯგუფის მონაწილე დაზარალებულის ინტერესების დამცველმა ერთ-ერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა ქალმა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების პროცესი **ხელახალ გაუპატიურებად** დაახასიათა მსხვერპლის ღირსების შეუსაბამო გარემოს გამო.

ამასთანავე, კვლევამ ცხადყო, რომ საქალწულე აპკის გამოკვლევა ხდება იმის დადასტურების მიზნით, ჰქონია თუ არა ქალს ვაგინალური სქესობრივი კავშირი. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან საქალწულე აპკის მდგომარეობის თაობაზე ექსპერტს კითხვა 9 შემთხვევაში დაუსვეს (საქმეები ეხებოდა გაუპატიურებას და გაუპატიურების მცდელობას). ერთ-ერთ საქმეში,¹⁵⁶ მაგალითად, ექსპერტის მიერ მომზადებულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ „საქალწულე აპკის მთლიანობა არ არის დარღვეული, თუმცა საქალწულე აპკის დაჭიმვისას ნასკდომიდან მოჟონავს მცირე რაოდენობით სისხლი“, ასევე მითითებულია, რომ დაზარალებულს სხეულზე

153 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/658-17.

154 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი.

155 აღნიშნული ინფორმაცია მოწოდებულია ფოკუსჯგუფის შეხვედრაზე სახელმწიფო ფონდის თანამშრომლების მხრიდან.

156 რუსთავის საქალაქო სასამართლო, საქმე N1-559-17.

აღნიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები. დანაშაული დაკვალიფიცირდა, როგორც გაუპატიურების მცდელობა. ამგვარი დასკვნების გაცემა საქალწულე აპკის მდგომარეობაზე დაყრდნობით არღვევს ქალების და გოგონების უფლებებს. არ არსებობს მეცნიერული ან კლინიკური გამართლება, რომ იგი გამოიყენებოდეს სქესობრივი კავშირის ან გაუპატიურების დასადასტურებლად.¹⁵⁷

ერთ-ერთ საქმეში, დაზარალებული, რომელსაც უნდა ჩასტარებოდა სამედიცინო ექსპერტიზა, ექსპერტიზის ბიუროში დაიბარეს დილის საათებში, თუმცა, გაურკვეველი მიზეზით, საღამომდე ალოდინეს. როგორც დაზარალებულმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, მისთვის ეს იყო დისკომფორტი, რის გამოც გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას ექსპერტების მიმართ. ამასთანავე, დაზარალებულმა პროცესზე განაცხადა, რომ მთელი დღის განმავლობაში ბიუროში მოუწია ყოფნა და არ აძლევდნენ საშუალებას, დაებანა, რასაც მისი მხრიდან გაღიზიანება მოჰყვა.¹⁵⁸

ფოკუსგუფებმა ასევე გამოკვეთა, რომ ხშირად **სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ექსპერტიზაზე უარს ამბობენ ექსპერტების სქესის გამო**. დაზარალებულებს არ აქვს შესაძლებლობა, აირჩიონ ექსპერტის სქესი, შესაბამისად, მათი თქმით, რიგ შემთხვევაში საპირისპირო სქესის წარმომადგენლის მხრიდან მსგავსი ტიპის ექსპერტიზის ჩატარება დამატებითი სტრესის მომტანია. ფოკუსგუფში მონაწილე ერთ-ერთმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ მსხვერპლმა უარი განაცხადა ექსპერტიზის ჩატარებაზე, რადგან თქვა: „კაცი იყო და ვერ გავიხადე, ვერ ვაჩვენე“. აგრეთვე, სექსუალური ძალადობის საქმის მასალების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ერთ-ერთმა დაზარალებულმა, თავდაპირველად, უარი განაცხადა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე. მიზეზად კი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის სქესი დაასახელა.¹⁵⁹ ამას ემატება ის გარემოებაც, რომ სამედიცინო ექსპერტები, როგორც ფოკუსგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, მსხვერპლების მიმართ არასენსიტიურ ენას იყენებენ.

საკითხის პრობლემურობას ადასტურებს ასევე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან გამოთხოვნილი ინფორმაცია,¹⁶⁰ რომლის თანახმად, ბიუროში დღესდღეობით, საქართველოს მასშტაბით, დასაქმებულია ჯამში 39 სამედიცინო ექსპერტი, საიდანაც მხოლოდ 9 არის ქალი. თბილისში დასაქმებული 20 ექსპერტიდან მდებარეობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არის მხოლოდ 8. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა რეგიონებში, სადაც ჯამში დასაქმებული 19 სამედიცინო ექსპერტიდან მხოლოდ ერთია ქალი.¹⁶¹

აქვე საყურადღებოა, რომ ყველა საქმეში, ექსპერტიზის დასკვნაში, შაბლონურად არის მითითებული, რომ ექსპერტიზა ტარდებოდა მშვიდ გარემოში და მას რამე გართულებები არ ახლდა. ასეთი შაბლონური ჩანაწერი კითხვის ნიშნებს იწვევს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით და ფორმალურ, შესაძლო გენდერულად არასენსიტიურ მიდგომაზე მიუთითებს.

ერთ-ერთ საქმეში დაზარალებულს ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმების მიზნით. საყურადღებოა, რომ საქმის მასალებიდან რამე ეჭვი თ.გ.-ს ფსიქიატრიული მდგომარეობის შესახებ არ იკვეთებოდა. გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურებოდა აღნიშნული გადანყვეტილება გამოძიების ეტაპზე¹⁶² - იგი, სავარაუდოდ, დაზარალებულის მონათხრობის სანდოობის მიმართ დაუსაბუთებელი ეჭვით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული.

157 UN Inter-agency Statement on Eliminating Virginity Testing, available at: <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/275451/WHO-RHR-18.15-eng.pdf?ua=1>.

158 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4189-18.

159 ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N1/658-17.

160 სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ წერილი N5006341619; 02.10.2019.

161 ქუთაისი, ბათუმი, ახალციხე, გორი, რუსთავი, გურჯაანი.

162 თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N3268-17.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო სექსუალური ძალადობის საქმეებში იყენებენ მტკიცებულებების შეუსაბამოდ მაღალ სტანდარტს და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პასუხი, პრაქტიკაში, ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს, მიეცემა თუ არა პირი პასუხისგებაში. ხშირად, თუ ექსპერტიზამ არ დაადასტურა გაუპატიურების კვალი, შესაძლოა, საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა არც კი დაიწყოს. შესაბამისად, უკიდურესად მნიშვნელოვანია, ექსპერტიზა ჩატარდეს გენდერულად სენსიტიურ და დაზარალებულის ინტერესებზე მორგებულ გარემოში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლის ღირსების და უფლებების სრული დაცვით.

6. არასათანადო სასჯელები და დამამძიმებელი/შემამსუბუქებელი გარემოებები

6.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტი

სტამბოლის კონვენცია მოითხოვს, რომ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულები ისჯებოდეს ეფექტიანი, თანაბომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციებით, რომლებიც მხედველობაში უნდა იღებდეს დანაშაულის სიმძიმეს¹⁶³. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს დამამძიმებელი გარემოებების გამოყენებას.¹⁶⁴ ამგვარ საქმეებზე დამამძიმებელი გარემოებების იდენტიფიცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები, ტრადიციულად, მიეკუთვნებოდა კერძო სფეროს და, ისტორიულად, ისინი ან საერთოდ არ მიიჩნეოდა დასჯად ქმედებებად, ან მათი სიმძიმის იგნორირება ხდებოდა.

სტამბოლის კონვენციის თანახმად, მოსამართლემ დამამძიმებელ გარემოებებად, შესაძლოა, მიიჩნიოს შემდეგი შემთხვევები (მუხლი 46):

- დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის ან იმ პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება;
- დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილი იყო არაერთგზის;
- დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც, გარკვეული გარემოებების გამო, მოწყვლადია;
- დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად;
- დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;
- დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;
- დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევ მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის.¹⁶⁵

სტამბოლის კონვენციის 43-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მსხვერპლსა და შესაბამისი ძალადობის აქტების ჩამდენ პირს შორის არსებული ურთიერთკავშირის ხასიათის მიუხედავად (მუხლი 43). კონვენციის განმარტებითი ბარათი მიუთითებს, რომ სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების დანაშაულების

¹⁶³ სტამბოლის კონვენცია, მუხლი 45-ე.

¹⁶⁴ იხ. მაგ. Updated Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice (the 'Updated Model Strategies'), adopted by the General Assembly under Resolution 65/228 (2010), para 17(b).

¹⁶⁵ სტამბოლის კონვენცია, მუხლი 46.

დასჯაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებული ურთიერთობა, ხოლო „სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება წარმოადგენს ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელების გავრცელებულ ფორმას ძალადობრივ ურთიერთობაში და, როგორც წესი, ადგილი აქვს ურთიერთობის დასრულებისას და დასრულების შემდგომ. აუცილებელია უზრუნველყოფა იმისა, რომ არ არსებობდეს გამონაკლისი ასეთი აქტების კრიმინალიზაციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით, როდესაც მათი ჩადენა ხდება ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლის ან პარტნიორის წინააღმდეგ, როგორც აღიარებს შიდა კანონმდებლობა.“¹⁶⁶

ამასთანავე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამნაშავის ქმედებაში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად.¹⁶⁷

რაც შეეხება შემამსუბუქებელ გარემოებებს, სტამბოლის კონვენცია განამტკიცებს, რომ დანაშაულის „ღირსების“ სახელით ჩადენა არ ამართლებს ჩადენილ ქმედებას. კონვენციის თანახმად, „ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან, ეგრეთ წოდებული, „ღირსების საკითხი“ არ უნდა მიიჩნეოდეს ასეთი აქტების გასამართლებელ მიზეზად. აქ იგულისხმება, კერძოდ, ისეთი განცხადებები, რომ მსხვერპლმა დაარღვია შესაბამისი ქცევის კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ნორმები ან ადათ-წესები“.¹⁶⁸

შესაბამისად, შემამსუბუქებელ გარემოებებზე, სექსუალური და გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში, ასევე არ უნდა გამოიყენებოდეს შემდეგი: ა) სასამართლოს წინაშე სათანადო ქცევა; ბ) სინანულის გამოხატვა; გ) ფინანსური მდგომარეობა; დ) ძალადობრივი ქმედებებისკენ ბრალდებულს მსხვერპლმა უბიძგა.¹⁶⁹

ქალთა მიმართ და სექსუალური ძალადობის საქმეებზე შეფარდებული სასჯელი უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის ბუნებას და სიმძიმეს, ძალადობის წინარეისტორიას, ბრალდებულის პიროვნულ თვისებებს და საზოგადოებისთვის საშიშ ხასიათს. ლმობიერი სასჯელის შეფარდება არ უნდა მოხდეს დაზარალებულის პიროვნულ თვისებებზე დაყრდნობით, როგორცაა მისი „მორალური მხარე“ თუ სექსუალური ცხოვრება.¹⁷⁰

6.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

კანონმდებლობა

დღეს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, უმეტესწილად, აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დამამძიმებელი გარემოებების კუთხით. ამასთანავე, არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული გარკვეული შემამსუბუქებელი გარემოებები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება ზოგადად ყველა სახის დანაშაულთან, მათ შორის, სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით. იმის მიუხედავად, რომ რიგი შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს კონკრეტულ დანაშაულებზე, იმავე გარემოებების მოხმობა სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, შესაძლოა, დისკრიმინაციული იყოს ქალთა მიმართ (იხ. ქვემოთ).

სსკ განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის დროს: *სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გაჩემოებებს, კეხიოდ,*

166 სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათი, აბზაცი 194.

167 Nachova v Bulgaria, აბზაცი 160; BS v Spain, აბზაცი 58; Identoba v Georgia, აბზაცი 67.

168 სტამბოლის კონვენცია, მუხლი 42.1.

169 აღნიშნული კვლევისთვის შექმნილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ლორი მანის ავტორობით.

170 იხ. UNODC Handbook on Effective Prosecution and Responses to Violence against Women and Girls, გვ. 122.

დანაშაულის მოცივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მახთღსაწინააღმდეგო ნებას, მოვადგობათა დახლვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხეხსა და მახთღსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავის წახსუდ ცხოვრებას, პიხად და ეკონომიკუხ პიხოტებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთხებით – მის მისწაფებას, ანაზღაუროს ზიანი, შეუხიგდეს დაზაზაღებუდს.¹⁷¹ აღნიშნული გარემოებები ვრცელდება ყველა სახის დანაშაულებზე და გენდერული დანაშაულებისთვის კანონმდებლობა რაიმე სახის სპეციალურ ჩანაწერს ან გამონაკლისს არ ითვალისწინებს.

სტამბოლის კონვენციასთან კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად, 2017-2018 წლებში სსკ-ის 53¹-ე მუხლი, რომელიც სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებს ითვალისწინებს, შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა:

1. დანაშაულის ჩადენა ხასის, კანის ფეხის, ენის, სქესის, სექსუალუხი ოხიენცაციის, გენდუხის, გენდუხური იდენტობის, ასაკის, ხედიგის, პოდიტიკუხი ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქადაქეობის, ეხოვნული, ეთნიკუხი ან სოციალუხი კუთვნიების, წახმოშობის, ქონებხივი ან წოდებხივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკხიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოცივით ახის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გახემოება ამ კოდექსით გათვადისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

2. დანაშაულის ჩადენა ოჯახის ეხით წევხის მიეხ ოჯახის სხვა წევხის მიმახთ,¹⁷² უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმახთ, ახასხუდწდროვნის მიმახთ ან მისი თანდასწეხებით, განსაკუთხებული სისასტიკით, იახალის გამოყენებით ან იახალის გამოყენების მუქახით, სამსახუხეხივი მდგომარეობის გამოყენებით, ახის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გახემოება ამ კოდექსით გათვადისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.

ზემოსხენებული მუხლი, დამატებით, აკონკრეტებს, რომ დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში დანიშნული სასჯელი მინიმუმ 1 წლით უნდა აღემატებოდეს შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.¹⁷³ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია.¹⁷⁴

2018 წელს, ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა არაერთგზის ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით. სსკ-ის მე-11¹ მუხლში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული გარკვეული ოჯახური დანაშაულები, მათ შორის სექსუალური ძალადობა, მიიჩნევა არაერთგზის ჩადენილად, თუ მათ წინ უსწრებდა 126¹-ე მუხლით¹⁷⁵ გათვალისწინებული ან რომელიმე სხვა ოჯახური დანაშაულის ჩადენა.¹⁷⁶ მიუხედავად იმისა, რომ ამ ცვლილებას საქართველოს

171 სსკ, მუხლი 53.3.

172 სსკ-ის მე-111 მუხლის მიხედვით, 2020 წლის 1-ლ სექტემბრამდე არსებული რედაქციით, ოჯახის წევრად ითვლებოდა: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას. 2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

173 სსკ, მუხლი 53¹.3.

174 სსკ, მუხლი 39.

175 აღნიშნული მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობას წარმოადგენს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია ამ კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგი.

176 სსკ, მუხლი 111, შენიშვნა.

კანონმდებლობა სტამბოლის კონვენციასთან, გარკვეულწილად, შესაბამისობაში მოჰყავს, აუცილებელია, **არაერთგზისობის აღნიშნული წესი ვრცელდებოდეს არა მხოლოდ ოჯახურ, არამედ ქალთა მიმართ ძალადობის სხვა დანაშაულებზეც, რომლებიც სტამბოლის კონვენციით არის გათვალისწინებული.**

რაც შეეხება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ სხვა დამამძიმებელ გარემოებებს, ისინი ასახულია სექსუალური ძალადობის დანაშაულების შესაბამის მუხლებში. მათ შორისაა: ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი; დანაშაულის ჩადენა არაერთგზის; დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა 138-ე-141-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად და დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით (იხ. სსკ-ის 137-ე-139-ე მუხლები).

რაც შეეხება შემამსუბუქებელ და ბრალის გამომრიცხავ გარემოებებს, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგს (სსკ, თავი IX):

- შეურაცხაობა ასაკის გამო (მუხლი 33);
- შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო (მუხლი 34);
- შეზღუდული შერაცხადობა (მუხლი 35);
- შეცდომა (მუხლი 36);
- ბრძანების ან განკარგულების შესრულება (მუხლი 37);
- სხვა არაბრალეული ქმედება (მუხლი 38).

შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და, ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებთან მიმართებით, საკანონმდებლო დონეზე, შემამსუბუქებელ გარემოებებზე არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როგორცაა დანაშაულის ჩადენა ოჯახურ ვითარებაში, ღირსების სახელით, მსხვერპლის მორალური თვისებების ან დამნაშავის და მსხვერპლის ურთიერთობის კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოებები გენდერული სტერეოტიპების შედეგია მართლმსაჯულების პროცესებში, მათი გამოყენება მაინც ხდება სისხლის სამართლის საქმის სხვადასხვა ეტაპზე, მიუხედავად საკანონმდებლო დაშვების არარსებობისა.

პრაქტიკა

შესწავლილ საქმეებში პრობლემად გამოიკვეთა, რომ სტამბოლის კონვენციით (მუხლი 46) და, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ **დამამძიმებელ გარემოებებზე** (მათ შორის, სსკ-ის 53¹-ე მუხლით განსაზღვრულ გარემოებებზე) **მითითება არასოდეს მომხდარა** იმ შემთხვევებში, როცა საქმის მასალები, შესაძლოა, იძლეოდა ამის საშუალებას. მაგალითად, დამამძიმებელ გარემოებად არ გამოყენებულა დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივით¹⁷⁷ ან ოჯახის წევრის მიმართ ჩადენა (იმის მიუხედავად, რომ 5 საქმეში დანაშაულის ჩამდენი ყოფილი მეუღლე ან პარტნიორი იყო, ხოლო 2 საქმეში დანაშაულის ჩადენას „ოჯახის შექმნის“ მიზანი ჰქონდა). **არასოდეს მომხდარა** ძალადობის წინარეისტორიის დამამძიმებელ გარემოებად გამოყენება, მათ შორის, ისეთ საქმეებში, სადაც შემაკავებელი ორდერები ფიგურირებდა მტკიცებულებებად. ასევე, დანაშაულის განსაკუთრებით ინტენსიური ძალადობის ფორმებით ჩადენა არ იყო მიჩნეული დამამძიმებელ გარემოებად, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სადაც პირს სახესა და სხეულზე 43 დაზიანება ჰქონდა მიყენებული, ხოლო დამნაშავე, საპროცესო

¹⁷⁷ აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციულ მოტივზე მითითება მოხდა ერთ-ერთ საქმეში, რომელიც ოჯახში ძალადობას და სექსუალურ ძალადობას ეხებოდა, თუმცა აღნიშნულ საქმეზე პირი სექსუალური ძალადობის ჩადენაში გამართლდა (თბილისის საქალაქო სასამართლო, N1/4873-18).

შეთანხმების მეშვეობით, საპატიმრო სასჯელის გარეშე დარჩა - თავისუფლების აღკვეთა 5 წლით ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად 5 წელი დაუდგინდა (სსკ-ის 19-137-ე მუხლი).¹⁷⁸

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ საქმეებში შეფარდებული სასჯელები მხედველობაში იღებდა დანაშაულის სიმძიმეს, პრობლემად გამოვლინდა **დანაშაულის ბუნებასთან შეუსაბამოდ ლმობიერი სასჯელების გამოყენება** სსკ-ის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, სადაც შესწავლილი 4 გამამტყუნებელი განაჩენიდან მხოლოდ ერთხელ დაენიშნა პირს თავისუფლების აღკვეთა (1 წლით და 6 თვით).

გარდა ზემოხსენებულისა, რიგ შემთხვევაში **სასამართლო მიუთითებს სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებაზე**, რომლებიც, მართალია, გათვალისწინებულია კანონით და მათი გამოყენება, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს სხვა სახის დანაშაულებთან მიმართებით, თუმცა სექსუალური ძალადობის და გენდერული სახის დანაშაულებზე მათი მოხმობა დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ. მაგალითად, ეს გარემოებებია: ბრალდებული შეურიგდა დაზარალებულს, აღმოუჩინა ფულადი დახმარება, ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია, ბრალდებული ინანიებს დანაშაულს, ბრალდებულმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, ბრალდებული ნასამართლობის არმქონეა (ეს გარემოებები გამოიკვეთა ჯამში 6 საქმეზე).

ქალთა მიმართ დისკრიმინაციული შემამსუბუქებელი გარემოებებისა და არაპროპორციულად ლმობიერი სასჯელის გამოყენების ცხადი მაგალითია გაუპატიურების მცდელობის შესახებ (სსკ-ის 19-137-ე მუხლი) მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე,¹⁷⁹ სადაც, მიუხედავად დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობისა, დამნაშავე, საპროცესო შეთანხმების მეშვეობით, **რეალური სასჯელის გარეშე დარჩა**. სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა რ.ი-მ განაცხადა, რომ მას მიყენებული ჰქონდა 43 დაზიანება სახისა და ტანის არეში, ასევე, ძალადობის შედეგად, დანაშაულის ჩადენის დღეს სახე ჰქონდა დასიებული და პირი - სისხლით სავსე. მისი თქმით, მიღებული დაზიანებების შემდეგ ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. გამოძიების ეტაპზე დანიშნული ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, რ.ი-ს ტანსაცმელზე არსებული ლაქები წარმოადგენდა ადამიანის სისხლს, სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭდევის და სისხლნაჟღენთების სახით, ხოლო ხელის მტევანზე დაუფიქრილი ჭრილობა. მიუხედავად მოწმის ჩვენებისა და დაზიანებების შესახებ ექსპერტიზის დასკვნისა, **ბრალდებულს, გაუპატიურების მცდელობისთვის, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 5 წელი. მოსამართლე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ „დაზარალებული შეურიგდა მოძალადეს და მის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნდა“**. როგორც საქმის მასალების შესწავლისას ირკვევა, ბრალდების მხარე საპროცესო შეთანხმების გაფორმების დასაბუთებისას აღნიშნავდა, რომ მსხვერპლსა და მოძალადეს შორის შედგა შეთანხმება და შესაძლო დამნაშავემ **მსხვერპლს მიყენებული ზიანი აუნაზღაურა (ფულადი დახმარება)**.

სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლში მოცემულ გარემოებებზე და უთითებდა, რომ სასამართლო დამნაშავეს დაუნიშნავდა სამართლიან სასჯელს კოდექსით დადგენილ ფარგლებში, ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების უმეტესობაში შაბლონურად არის მითითებული, რომ დაკისრებული სასჯელები ემსახურება მომავალში ბრალდებულის უსაფრთხო ინტეგრაციას საზოგადოებაში და რომ ეს იქნება დამაფიქრებელი მისთვის,

178 მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/223-18.

179 მცხეთის რაიონული სასამართლო, საქმე N1/223-18.

რათა უკეთ გააცნობიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი, საზოგადოებრივი საშიშროება და გამოწვეული შედეგის სიმძიმე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართლიანობის აღდგენას. სასამართლო „სამართლიანობის აღდგენაში“ გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას არ მოიაზრებს, რაც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ძირეული მიზეზია. მართალია, ორ საქმეში მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს სტამბოლის კონვენციაზე და აღნიშნავს, რომ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ ფაქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან, შესაძლოა, მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ზიანი ან ტანჯვა, თუმცა მასზე მითითება ჩადენილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად არც პროკურორის და არც სასამართლოს მხრიდან არ მომხდარა.¹⁸⁰

7. დამატებითი დაბრკოლებები მონყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის

მონყვლად ჯგუფებს მიკუთვნებული ქალები (შშმ პირები, ლბტი ქალები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მიგრანტები, წამალდამოკიდებული ქალები) განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან სექსუალურ ძალადობაზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით. დაბრკოლებებს შორის აღსანიშნავია არსებული **საკანონმდებლო რეგულირება** (ქალისადმი რეპრესიული კანონმდებლობა პროსტიტუციასთან, ასევე, ნარკოტიკის მოხმარებასთან მიმართებით), **ქალების მიმართ სტიგმა** (განსაკუთრებით, სექსმუშაკი, წამალდამოკიდებული, ლბტ და შშმ ქალებთან მიმართებით), **მიგრაციის სტატუსი** (თუ პირი ქვეყანაში კანონიერი საფუძვლით არ იმყოფება), **გონივრული მისადაგების არარსებობა** (შშმ ქალებთან მიმართებით), **ენობრივი ბარიერები** (მიგრანტ და ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით). ფოკუსჯგუფებზე განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა სექსუალური ძალადობის გამოძიების დროს ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე ქალების ჩვენების ეჭვქვეშ დაყენება და არასანდოდ მიჩნევა მათი სტატუსის გამო, რასაც, შესაძლოა, დამნაშავის დაუსჯელობა მოჰყვეს. სექსუალურმა ძალადობამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ტრავმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსხვერპლის დახმარების მოკლე და გრძელვადიანი სერვისები არ არის ხელმისაწვდომი.

პრობლემა ასევე სისხლისსამართლებრივი დევნისას მართლმსაჯულების ორგანოების არასათანადო მომზადება მონყვლადი ჯგუფების სპეციფიკასთან მიმართებით. იმის გამო, რომ აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელი ქალები სამართლებრივი საშუალებების გამოყენების კუთხით განსაკუთრებულ ბარიერებს აწყდებიან და ამ საკითხებზე პრაქტიკა უკიდურესად მწირია, კვლევის ფარგლებში, მათი სპეციფიკური პრობლემების შესახებ **მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა**. თუმცა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი განსაკუთრებით მონყვლადი ქალებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება (იხ. რეკომენდაციები).

180 ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე N1/81-18; თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N1/4873-18.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება გაუპატიურების დეფინიციაში (სსკ-ის 137-ე მუხლი), რათა, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, აღნიშნული მუხლების დეფინიცია ეფუძნებოდეს მსხვერპლის **თავისუფალი, ნამდვილი და ნებაყოფლობითი თანხმობის** არარსებობას, რაც უნდა შეფასდეს გარემომცველი გარემოებების კონტექსტში;
- გაუპატიურების (სსკ-ის 137-ე მუხლი) და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების (სსკ-ის 138-ე მუხლი) დეფინიციიდან მოხდეს **ძალადობის ამოღება** და **ძალადობა განისაზღვროს** აღნიშნული მუხლების **დამამძიმებელ გარემოებად**;
- მოხდეს სსკ-ის 139-ე მუხლში ცვლილებების შეტანა სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლებთან გადაფარვის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ, ქმედებები, რომლებიც ითვალისწინებს მსხვერპლის სხეულში შეღწევას ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ფიზიკურ კონტაქტს, რაც დღეს მოცულია სსკ-ის 139-ე მუხლით, უნდა ინტეგრირდეს 137-ე და 138-ე მუხლებში. 139-ე მუხლი უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იძულების ისეთ შემთხვევებში, როცა არ მომხდარა მსხვერპლის სხეულში შეღწევა ან სხვა სახის ფიზიკური ფომის სექსუალური კონტაქტი.
- გადაისინჯოს სსკ-ის მე-11¹ მუხლის შენიშვნა **არაერთგზისი დანაშაულების შესახებ** და, სტამბოლის კონვენციაზე დაყრდნობით, ჩანაწერი გავრცელდეს ქალთა მიმართ ყველა სახის ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე;
- მეუღლის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენა უნდა გამოიყოს, როგორც სექსუალური ძალადობის მუხლების (სსკ-ის 137-ე და 139-ე მუხლები) დამამძიმებელი გარემოება, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად;
- სსკ-ის 53-ე მუხლში (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) გაკეთდეს შენიშვნა, რომელიც განსაზღვრავს, რომ ქალთა მიმართ და ოჯახურ დანაშაულებზე არ არის მიზანშეწონილი გარკვეული შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენება, მათ შორის: ბრალდებულის და დაზარალებულის „შერიგება“, ბრალდებულის მიერ დაზარალებულისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენა, დაზარალებულის მხრიდან პრეტენზიის არქონა, დამნაშავის მონანიება და მისი დადებითად დახასიათება მოწმეების მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და გენერალურ პროკურატურას:

- შსს-მ და გენერალურმა პროკურატურამ, მნიშვნელოვანია, უზრუნველყონ, რომ პრიორიტეტულად მოხდეს სექსუალური ძალადობის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ფორმის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა და **დანაშაულთა წრე არ იყოს დავინროებული** იმ საქმეებით, სადაც მტკიცებულებად ფიზიკური დაზიანებები და სქესობრივი აქტისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური მასალა მოიპოვება;
- შსს-მ და გენერალურმა პროკურატურამ, მნიშვნელოვანია, უზრუნველყონ გამოძიებლების და პროკურორების მომზადება სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სხვადასხვა სახის მტკიცებულებების მოპოვების ტექნიკაში, რაც ასევე მოიცავს სტერეოტიპებზე დაფუძნებული მიდგომების გამორიცხვას მტკიცებულებათა მოპოვების დროს;
- გამოძიებლებმა და პროკურორებმა, მნიშვნელოვანია, უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებზე პრიორიტეტულად მოხდეს სათანადო მტკიცებულებების მოპოვება სტამბოლის კონვენციით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებთან

მიმართებით, მათზე დაყრდნობით მოხდეს დანაშაულის კვალიფიკაცია და სასამართლოში წარდგენა;

- გამომძიებლებმა და პროკურორებმა უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებზე, სსკ-ის 53¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებთან მიმართებით, მოხდეს სათანადო მტკიცებულებების მოპოვება და მათი, როგორც საქმეში არსებული დამამძიმებელი გარემოებების, სასამართლოსთვის წარდგენა;
- გამომძიებლებმა და პროკურორებმა, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ძალადობის წინარეისტორიის, როგორც დამამძიმებელი გარემოების, გამოკვლევას, მიუხედავად იმისა, დაზარალებულის მიმართ წარსულში გამოცემულია თუ არა შემაკავებელი ან დამცავი ორდერი.
- შსს-მ და გენერალურმა პროკურატურამ უზრუნველყონ, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე გამოძიება/დევნა არ შეწყდეს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მსხვერპლმა უარყო ან შეცვალა ჩვენება, ან ჩვენებას აძლევს არათანმიმდევრულად, ან არ სურს დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა, ან რაიმე მიზეზით არ შეუძლია ჩვენების მიცემა (მათ შორის, მსხვერპლის ფიზიკური თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო). მნიშვნელოვანია, გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება მოიცავდეს ინფორმაციას, თუ რა ზომები მიიღო გამომძიებელმა/პროკურორმა, რათა დაედინა, მსხვერპლმა ჩვენება ხომ არ შეცვალა სავარაუდო მოძალადის ან სხვა პირის მხრიდან ზეწოლის, სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული სტიგმის, საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიშის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო;
- როდესაც გამოძიება დაწყებულია გაუპატიურების მუხლით და საქმეში არ არსებობს გაუპატიურების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მნიშვნელოვანია, დანაშაული გადაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის მუხლზე, რომლის ნიშნებიც იკვეთება - მაგალითად, ძალადობა (სსკ-ის 126-ე მუხლი), იძულება (სსკ-ის 150-ე მუხლი) ან ადევნება (სსკ-ის 151¹-ე მუხლი) - და არ შეწყდეს გამოძიება იმ მიზეზით, რომ მასში კონკრეტულად გაუპატიურების ნიშნები არ იდენტიფიცირდა;
- როდესაც გამოძიება დაწყებულია გაუპატიურების მუხლით, მაგრამ მასში იკვეთება სექსუალური შევიწროების ნიშნები, მსხვერპლის გადამისამართება უნდა მოხდეს სექსუალური შევიწროების დროს მოქმედ არასისხლისსამართლებრივ მექანიზმებზე;
- როდესაც გამოძიება დაწყებულია გაუპატიურების მუხლით, მაგრამ მასში არ დგინდება დანაშაულის ნიშნები და იკვეთება ქალთა მიმართ ძალადობა, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ, მსხვერპლის გადამისამართება უნდა მოხდეს აღნიშნული კანონით გათვალისწინებულ მექანიზმებზე (შემაკავებელი და დამცავი ორდერი);

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალურ პროკურატურას და სასამართლოს:

- სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად არ უნდა ხდებოდეს ხისტი და ზედმეტად შემზღვეველი მტკიცებულებითი სტანდარტებით ხელმძღვანელობა და მტკიცებულებთა გამყარების მოთხოვნა;
- სექსუალური ძალადობის საქმეებზე, ყველა სტადიაზე, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ რისკის შეფასება და მართვა სათანადო უწყებებთან თანამშრომლობით;
- **გადიხედოს** სექსუალური ძალადობის საქმეებზე **სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სავალდებულოდ ჩატარების პრაქტიკა** და მიღებული იყოს ყველა

ზომა, რათა მსხვერპლის სხეულზე ექსპერტიზა, მისი ინტრუზიული ხასიათიდან გამომდინარე, არ ჩატარდეს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე და ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები საკმარისია მნიშვნელოვანი ინფორმაციის დასადგენად და პირისთვის ბრალის წასაყენებლად;

- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დროს, სხვა დაზიანებებთან ერთად საქალწულე აპკის შემოწმების შემთხვევაში, აიკრძალოს აპკის მდგომარეობაზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ქალს ვაგინალური სქესობრივი კავშირი. აღნიშნულ მიდგომას არ აქვს სამეცნიერო ან კლინიკური საფუძველი სქესობრივი კავშირის ან გაუპატიურების დასადასტურებლად. აპკის შემოწმებამ შეიძლება უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს ბრალდებული, ზოგჯერ კი, შედეგად მისი გამართლება გამოიწვიოს;¹⁸¹
- დაზარალებულის **ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვლევა** და **ფსიქიატრიული ექსპერტიზის** დანიშვნა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი დაზარალებულის ფსიქიკური მდგომარეობის პრობლემის შესახებ და როდესაც ამ მდგომარეობას შეეძლო, გავლენა მოეხდინა სამართალდამცავი ორგანოებისთვის დაზარალებულის მიერ ძალადობასთან დაკავშირებით მიწოდებულ ინფორმაციაზე;
- მოხდეს გამოძიებლების, პროკურორების და მოსამართლეების გადამზადება სექსუალური ძალადობის საქმეებზე გენდერული სტერეოტიპების რაობასა და მათი აღმოფხვრის საკითხზე მართლმსაჯულების პროცესში;
- შემუშავდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოკითხვის გაიდლაინი გამოძიების პროცესში გამოძიებლების და პროკურორებისთვის, რათა მოხდეს მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და არ მოუწიოს მას ერთი და იმავე ინფორმაციის მრავალჯერადი გამეორება.
- სასამართლო პროცესებზე დაზარალებულის პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის დროს მიღებული უნდა იყოს ზომები მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასარიდებლად (როგორცაა შესაბამისი კითხვების აცილება, დაზარალებულის დისტანციური დაკითხვა და სხვ.);
- მნიშვნელოვანია, მოხდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლების გადამისამართება სერვისებზე, დაზარალებულის სტატუსის მიუხედავად.
- მნიშვნელოვანია, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულება განხორციელდეს **გენდერული ხედვით**. მართლმსაჯულების მიზანი (სხვა მიზნებთან ერთად) უნდა იყოს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა და არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფა, სტამბოლის კონვენციის პრინციპებზე დაყრდნობით;
- სტამბოლის კონვენციის და ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე დაყრდნობით, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების განხილვა უნდა მოხდეს **გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების ქრილში**. ამ ნიშნით, ყველა შესაძლო შემთხვევაში, გენდერული ძალადობის ძირეული მიზეზების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს მტკიცებულებების მოპოვება, გაანალიზება და მხედველობაში მიღება დამნაშავის მიერ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენის დასადასტურებლად (და, შესაბამისად, სსკ-ის 53¹-ე მუხლზე მითითება);
- სექსუალური ძალადობის საქმეებზე, რომლებიც უკავშირდება სტამბოლის კონვენციით განსაზღვრულ **მაწვე პრაქტიკებს**, როგორცაა ქორწინების იძულება (რაც, რიგ შემთხვევაში, გამოიხატება მოტაცებით - ქორწინების მიზნით), ყველა შემთხვევაში, მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს ამგვარი დანაშაულების გენდერული ბუნების გათვალისწინებით, უნდა მოხდეს დამნაშავის ქმედებაში

181 The UN Inter-agency Statement on Eliminating Virginity Testing, available at: <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/275451/WHO-RHR-18.15-eng.pdf?ua=1>.

დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევა და მისი სათანადოდ შეფასება დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნის დროს. არ შეიძლება კულტურის, ჩვეულებების, რელიგიის, ტრადიციების ან ე.წ. „ღირსების“ გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ქორწინების იძულების და სექსუალური ძალადობის, გასამართლებლად.

- მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით მოხდეს ერთიანი **სტატისტიკის** წარმოება, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია პირის სქესის, ეთნიკური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის, პროსტიტუციაში ჩართულობის და მოწყვლადობის სხვა მაჩვენებლის მიხედვით;
- მოხდეს თითოეული მოწყვლადი ჯგუფის ინდივიდუალური მდგომარეობიდან გამომდინარე **არსებული ბარიერების** (მათ შორის, საკანონმდებლო) შესწავლა და ეფექტიანი ზომების მიღება მათ აღმოსაფხვრელად, რათა ქალებმა შეძლონ სექსუალურ ძალადობაზე შეტყობინების გაკეთება;
- მნიშვნელოვანია, გამომძიებლებმა და პროკურორებმა უზრუნველყონ შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სექსუალური ძალადობის **დისკრიმინაციული მოტივით** ჩადენის დასადასტურებლად, ხოლო მოსამართლემ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღოს ისინი როგორც დამამძიმებელი გარემოება (სსკ-ის 53¹-ე მუხლი);
- გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებები უნდა მოიცავდეს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რა **განსაკუთრებული ზომები** მიიღო გამომძიებელმა/ პროკურორმა მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნიებული პირის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად, **პირის მოწყვლადობის სპეციალური გარემოებების გათვალისწინებით;**

სასამართლოს:

- სასამართლომ, სექსუალური ძალადობის საქმეებზე, მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სტამბოლის კონვენციითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებას და არ გამოიყენოს შემამსუბუქებელი გარემოებები, რომელთაც საფუძვლად უდევს გენდერული სტერეოტიპები და დისკრიმინაციული ეფექტი აქვს ამგვარი დანაშაულების მიმართ (მაგალითად, ბრალდებულის და დაზარალებულის „შერიგება“ და ბრალდებულის მიერ დაზარალებულისთვის ფულადი დახმარების აღმოჩენა);
- მეუღლის მიმართ სექსუალური ძალადობის ჩადენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, მოსამართლემ იგი განიხილოს, როგორც სასჯელის დამამძიმებელი გარემოება სსკ-ის 53^{1.2}-ე მუხლზე დაყრდნობით (დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ);
- მოსამართლემ სრულად გაითვალისწინოს სექსუალური ძალადობის დანაშაულების სიმძიმე და პრიორიტეტი მიანიჭოს ამგვარ დანაშაულებზე რეალური სასჯელების შეფარდებას (განსაკუთრებით, სსკ-ის 139-ე მუხლთან მიმართებით);
- სექსუალური ძალადობის, განსაკუთრებით, გაუპატიურების საქმეებზე, მათი შედეგებიდან გამომდინარე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არ უნდა მოხდეს დამნაშავის რეალური სასჯელისგან გათავისუფლება.
- სასამართლომ უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე **მტკიცებულებათა ფართო სპექტრის მხედველობაში მიღება და გაანალიზება**, რათა დამნაშავის პასუხისმგებაში მიცემა მოხდეს ისეთ დანაშაულებზე, რომლებიც ფიზიკური ძალადობის გამოყენების გარეშე არის ჩადენილი, ან

სადაც მტკიცებულებად არ მოიპოვება სექსობრივი აქტისთვის დამახასიათებელი დაზიანებები მსხვერპლის სხეულზე და დამნაშავეს ბიოლოგიური მასალა (მაგრამ დანაშაული, შესაძლოა, დასტურდებოდეს სხვა სახის მტკიცებულებებით);

- მოხდეს მოსამართლეთა გადამზადება გენდერული სტერეოტიპების არსებობის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მომზადების სპეციალური წესების შესახებ;

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია:

- მოხდეს სისხლის სამართლის ადვოკატების გადამზადება სექსუალური ძალადობის საქმეებზე გენდერული სტერეოტიპების რაობასა და მათი აღმოფხვრის საკითხზე მართლმსაჯულების პროცესში, ადვოკატთა ეთიკის კოდექსზე დაყრდნობით;

სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს:

- გაიზარდოს ქალ ექსპერტთა რაოდენობა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალს მიეცეს საშუალება, აირჩიოს ექსპერტის სქესი;
- მოხდეს ექსპერტთა გადამზადება სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან ექსპერტიზის ჩატარების სპეციფიკური წესების შესახებ.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს:

- სახელმწიფომ გააფართოოს სათანადო სპეციალური **სერვისები** სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დახმარებისთვის და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა დაზარალებულის სტატუსის მიუხედავად.
- სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისები პასუხობდეს მოწყვლად ჯგუფთა სპეციალურ საჭიროებებს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში №181 (2010 წლის 8 ოქტომბერი) სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ და განისაზღვროს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის დანაშაულების (განსაკუთრებით, დანაშაულები, რომლებიც ფიზიკური ძალის გამოყენებით არ არის ჩადენილი) შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა პრიორიტეტულად უნდა განხორციელდეს, ამასთან, დამნაშავეს მიერ მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურებამ გავლენა არ უნდა მოახდინოს დევნის დაწყებაზე საჯარო ინტერესის საფუძველზე.

დანართი N1: სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაცია

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია სექსუალური ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავ უწყებაში შესული შეტყობინებების, მომხდარი რეაგირებისა და დამდგარი შედეგის შესახებ. მიღებული მონაცემები მოიცავს 2017 წლის პირველი ივნისიდან 2019 წლის პირველ მაისამდე პერიოდს.

ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვნილი იყო სეგრევირებული მონაცემები სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე დაზარალებულის ასაკის, მოქალაქეობის, ეთნიკური კუთვნილებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ მოგვეწოდა, რადგან მსგავსი მონაცემები არ ინარმოება.

მითითებულ პერიოდში¹⁸² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში“ დაფიქსირდა **361 შეტყობინება** სექსუალური ძალადობის (სექსუალური ძალადობის ხასიათის ნებისმიერი ქმედება) სავარაუდო ფაქტის შესახებ.¹⁸³ რაც შეეხება გამოძიების დაწყების მაჩვენებელს, მოწოდებული ინფორმაციის¹⁸⁴ თანახმად, 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე პერიოდში გამოძიება დაიწყო სექსუალური ძალადობის **251 შემთხვევაზე**.

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹⁸⁵ ამავე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სექსუალური ძალადობის **54 შემთხვევაზე**. აღნიშნულ პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა სისხლის სამართლის **17 საქმეზე**.¹⁸⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით,¹⁸⁷ 2017 წლის პირველი ივნისიდან 2019 წლის პირველ მაისამდე პერიოდში საქართველოს საქალაქო (რაიონულმა) სასამართლოებმა განიხილეს და განაჩენი გამოიტანეს სისხლის სამართლის **26 საქმეზე**. აღნიშნული საქმეებიდან გამამტყუნებელი განაჩენი დადგა **20 საქმეზე**.

182 2017 წლის პირველი ივნისიდან, 2019 წლის პირველ მაისამდე.

183 აღნიშნული წარმოადგენს პირველადი შეტყობინების კლასიფიკაციას და არ არის საბოლოო მონაცემი.



184 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 1-ლი ივნისის წერილი MIA 2 19 01707886.

185 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 27 ივნისის წერილი N13/46533.


186 საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 ივლისის წერილი N13/50123.

187 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის წერილი Nპ- 861-19.

ცხრილი N1: სექსუალური ძალადობის ფაქტები (2017 წლის პირველი ივნისი - 2019 წლის პირველი მაისი)




ცხრილი N3: სექსუალური ძალადობის საქმეებზე გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და დამდგარი განაჩენების მაჩვენებელი წლების მიხედვით



ცხრილი მე-4: საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის პირველი ივნისიდან, 2019 წლის პირველ მაისამდე პერიოდში, სს დევნა 55 პირის მიმართ დაიწყო, ხოლო 55 პირი დაზარალებულად ცნეს. მათ შორის, დაზარალებულთა სტატისტიკა შემდეგია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე - 43 პირი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე - 1 პირი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე - 11 პირი.


ცხრილი N4: სექსუალური ძალადობის საქმეებზე ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კავშირი



კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა დაზარალებულსა და მოძალადეს შორის არსებული სოციალური კავშირი. 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე


სავარაუდოდ ჩადენილი სექსუალური ძალადობის 55 შემთხვევიდან¹⁸⁸ 10, სავარაუდოდ, ოჯახის წევრის¹⁸⁹ მიერ იყო ჩადენილი, ხოლო 45 - ოჯახის არაწევრის მიერ. რაც შეეხება აღნიშნულ მონაცემს სს კოდექსის მუხლების მიხედვით: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - 43 შემთხვევიდან 9 შემთხვევაში, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო ოჯახის წევრის მხრიდან; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - 1 შემთხვევაში (სულ, დაფიქსირდა 1 ფაქტი), სავარაუდოდ, ჩადენილი არ იყო ოჯახში; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - 11 შემთხვევიდან 1 შემთხვევაში, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო ოჯახის წევრის მიერ. ოჯახში ძალადობის ფაქტები: 10-დან 9 შემთხვევაში ჩადენილი იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო 1 შემთხვევაში - საქართველოს სისხლის სამართლის 139-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

ცხრილი მე-5: ოჯახში ძალადობის 10 საქმიდან, 9 წარმოადგენდა სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას და 1 - სსკ-ის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას. 137-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებიდან 5 ჩაიდინა მეუღლემ, 2 - ყოფილმა მეუღლემ, 1 - ყოფილმა პარტნიორმა, 1 - შვილმა. ოჯახში ძალადობის 10 საქმიდან არც ერთი არ წარმოადგენდა 138-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებას. რაც შეეხება 139-ე მუხლს - 1 შემთხვევაში ჩაიდინა მეუღლემ.




188 აღსანიშნავია, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 54 საქმეზე, 55 პირის მიმართ.
 189 სსკ-ის თანახმად, ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებიის, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მზარდამჭერი, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფი პირი, მხარდაჭერის მიღლება, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.


ცხრილი მე-6: რაც შეეხება ოჯახის გარეთ ძალადობის შემთხვევებს, ოჯახის არაწევრის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი 45 შემთხვევიდან 34 შემთხვევა იყო სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, 1 შემთხვევა - სსკ-ის 138-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული, ხოლო 10 შემთხვევა - სსკ-ის 139-ე მუხლით ჩადენილი დანაშაული. სსკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში: 15 დანაშაული, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო უცნობის მიერ, 11 - ნაცნობის მიერ, 1 - პარტნიორის მიერ, 3 - მეზობლის მიერ, 1 - ახლობლის და 3 - არაოჯახის წევრი ნათესავის მიერ. სსკ-ის 138-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, სავარაუდოდ, ჩადენილი იყო უცნობის მიერ. რაც შეეხება სსკ-ის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, 5 ჩადენილი იყო ნაცნობის მიერ, 3 - პარტნიორის, 1 - მეზობლის და 1 - შეყვარებულის მიერ (რომელიც მოიაზრება პარტნიორის ქვეშ მე-6 ცხრილში). ოჯახის გარეთ ჩადენილი ძალადობის 66% შემთხვევებში მსხვერპლი იცნობდა დამნაშავეს. 33% შემთხვევებში დამნაშავე იყო უცნობი პირი.



ცხრილი მე-7: საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობაში მიცემული 55 პირიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით ბრალი წარედგინა 26-ს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-137-ე მუხლით - 17 პირს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით - 1 პირს, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლით - 11 პირს.



ცხრილი მე-8: 2017 წლის 1-ლი ივნისიდან 2019 წლის 1-ლ მაისამდე პერიოდში ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე 55 ბრალდებულიდან 26 პირს ბრალი წარედგინა მხოლოდ სექსუალური ძალადობის მუხლით, ხოლო 29 პირს - ასევე სხვადასხვა კვალიფიკაციით. გაუპატიურებისა და გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებული 43 პირიდან 23-ს წარდგენილი ჰქონდა ბრალი მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით, ხოლო 20 პირს ასევე სხვადასხვა კვალიფიკაციით. სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით პასუხისმგებაში მიცემულ 1 პირს წარდგენილი ჰქონდა ბრალი მხოლოდ 138-ე მუხლით. პასუხისმგებაში მიცემული 11 პირიდან 2 მათგანს წარდგენილი ჰქონდა ბრალი მხოლოდ 139-ე მუხლით, ხოლო 9 პირს - აგრეთვე სხვადასხვა კვალიფიკაციით.



დანართი N2: საქართველოს კანონმდებლობა

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებმაც განიცადა ცვლილება სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შედეგად (2020 წლის ნოემბრის მდგომარეობით):

მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, -

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან რვა წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) ხამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხვიდან ათ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ახაეხთგზის;

ბ) იმის მიუხედავად, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-ე-141-ე მუხლებით გათვადისწინებული ჰომედიმე დანაშაული;

გ) ჯგუფუხად;

დ) დამნაშავისათვის წინასწახი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიხის ან ოხსური ქადის მიმახით;

ე) დამნაშავის მზუნველობის, მეუხვეობის ან მეთვადყუხეობის ქვეშ მყოფი პიხის ან ოჯახის წევხის მიმახით, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი დაზარალებულის ან სხვა პიხის მიმახით განსაკუთხებული სისასტიკით;

ბ) ხამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა;

გ) ჩადენილი წინასწახი შეცნობით ახასხუდწდოვანის მიმახით, -

დ) ჩადენილი ახასხუდწდოვანის მიმახით ნდობის, ავტოხიტეგუდი ან გავდენიანი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

მუხლი 138. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება

1. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვადისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის

მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი ახაეხთგზის;

ბ) ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) ჩადენილი ჯგუფურად;

დ) ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწახი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიხის ან ოხსუდი ქადის მიმახით;

ე) ჩადენილი იმის მიეხ, ვისაც აეხე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 139-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვადისწინებული ხომედიმე დანაშაული;

ვ) ჩადენილი დამნაშავის მხუნველობის, მეუხვეობის ან მეთვადყუეობის ქვეშ მყოფი პიხის ან ოჯახის წეეხის მიმახით;

ზ) ხამაც გამოიწვია დაზაადებულის ჯანმთელობის მდიმე დაზიანება ან სხვა მდიმე შედეგი, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხა წლამდე, იახალთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება:

ა) ჩადენილი წინასწახი შეცნობით ახასხუდწროვანის მიმახით;

ბ) ჩადენილი ახასხუდწროვანის მიმახით ნდობის, ავგოხიგეგუდი ან გავდენიანი მდგომარეობის გამოყენებით;

გ) ხამაც გამოიწვია დაზაადებულის სიცოცხლის მოსპობა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თეხთმეგიდან თხუთმეგ წლამდე, იახალთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:

ა) დამნაშავისთვის წინასწახი შეცნობით თოთხმეგი წდის ასაკს მიუღწევედი პიხის მიმახით;

ბ) ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეგიდან ოც წლამდე, იახალთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

[მუხლი 139. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება](#)

1. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, ჩადენილი ქონებრივი დაზიანების, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება, ანდა დაზარალებულის უმწეობის ან მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით, – ისჯება ჯარიმით ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან შვიდ წლამდე, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ახაეხთგზის;

ბ) იმის მიეხ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 138-ე, 140-ე და 141-ე მუხლებით გათვადისწინებული ჰომედიმე დანაშაული;

გ) ჯგუფუხად;

დ) დამნაშავისათვის წინასწახი შეცნობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პიხის ან ოხსული ქადის მიმახთ;

ე) დამნაშავის მზუნველობის, მეუხვეობის ან მეთვადყუეობის ქვეშ მყოფი პიხის ან ოჯახის წევრის მიმახთ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხხა წლამდე, იახალთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

4. იგივე ქმედება:

ა) ჰამაც გამოიწვია დაზაადებულის სიცოცხლის მოსპობა;

ბ) ჩადენილი წინასწახი შეცნობით ახასხუდწლოვანის მიმახთ, - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხხიდან თხუთმეგ წლამდე, იახალთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ.

სსკ-ის მუხლები, რომლებიც მოქმედებდა სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე:

მუხლი 137. გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმნეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ახაეხთგზის;

ბ) იმის მიეხ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138-141-ე მუხლებით გათვადისწინებული ჰომედიმე დანაშაული - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან ათ წლამდე.

3. გაუპატიურება:

ა) ჯგუფუხად;

ბ) დამნაშავისთვის წინასწახი შეცნობით ოხსული ქადისა ან ახასხუდწლოვნის,

გ) დაზაადებულის ან სხვა პიხის მიმახთ განსაკუთრებული სისასტიკით;

დ) სამსახუეებრივი მდგომაეობის გამოყენებით;

ე) ჰამაც გაუეხთხიებდობით გამოიწვია დაზაადებულის სიცოცხლის მოსპობა;

ვ) ჰამაც გაუეხთხიებდობით გამოიწვია დაზაადებულისთვის შიღსის შეყხა, მისი

ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან თხუთმეტი წლამდე.

4. გაუპატიურება იმისა, ვისაც არ შესრულებია თოთხმეტი წელი - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ათიდან ოც წლამდე.

მუხლი 138. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

1. მამათმავლობა, ლესბიანობა ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამიდან შვიდი წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი:

ა) ახაეხთვზის;

ბ) იმის მიეხ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 137-ე, 138-ე და 141-ე მუხლებით გათვადისწინებული ჰომედიმე დანაშაული;

გ) დამნაშავისთვის წინასწახი შეცნობით ოხსური ქადის ან ახასხუდწდოვნის მიმახთ - ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ხუთიდან თხუთმეტი წლამდე.

3. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება:

ა) იმის მიმახთ, ვისაც ახ შესხუდებია თოთხმეტი წედი;

ბ) ჯგუფუხად;

გ) ხამაც გაუფხთხიდებდობით გამოიწვია დაზახადებუდის სიცოცხდის მოსპობა;

დ) ხამაც გაუფხთხიდებდობით გამოიწვია დაზახადებუდისთვის შიდსის შეყხა, მისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სხვა მძიმე შედეგი;

ე) განსაკუთხებული სისასტიკით;

ვ) სამსახუხეხივი მდგომახეობის გამოყენებით - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე.

მუხლი 139. სქესობრივი კავშირის ან სექსუალური

ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება

სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბიანობის ან სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის იძულება სახელგამტეხი ცნობის გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარით, ანდა მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე.